პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის

დეფლიქტონი

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

ა ბ გ დ ე ვ ზ თ

ი კ ლ მ ნ ო პ ჟ

რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ

შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ლექსიკონი

გამოცემა შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური2025 წელი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის წინასიტყვაობა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნდამენტური უფლება ციფრული და ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში სხვადასხვა რისკთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვა არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ საზოგადოების დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. გლობალური ტენდენციების პარალელურად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი და ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით.

კანონი ითვალისწინებს ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. იგი აყალიბებს მონაცემთა სუბიექტების უფლებათა სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამის გარანტიებთან ერთად ტექნოლოგიური პროგრესის ადეკვატურ მოწესრიგებასაც უზრუნველყოფს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის უცვლელი პრიორიტეტული მიმართულებაა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამ პროცესში აღსანიშნავია სამართლებრივი ტერმინების მართებული განმარტება და მათი ერთგვაროვანი გამოყენება პრაქტიკაში. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული სამართლის განვითარებამ მოითხოვა მონაცემთა დაცვის შესახებ სისტემური კრებულის შექმნა. სწორედ ამ მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შეიმუშავა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ლექსიკონი“, რომელშიც გადმოცემულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ძირითადი ცნებები და მათი განმარტებები. იგი განასხვავებს და ამარტივებს დარგობრივი ტერმინების, ახალი კანონით გათვალისწინებული ინსტიტუტებისა და სამართლებრივი დოქტრინების გაგებას. ლექსიკონი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი პრაქტიკის გაუმჯობესებას, ასევე საზოგადოების ფართო წრის ინფორმირებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ძირითადი ტერმინების შინაარსთან დაკავშირებით.

წინამდებარე გამოცემა პირველი ცდაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართულ სამართალში. ვიმედოვნებთ, რომ ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს პერსონალურ მონაცემთა სამართლის პრაქტიკოსებს, მომიჯნავე პროფესიის წარმომადგენლებს, სტუდენტებსა და დარგით დაინტერესებულ პირებს. ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კულტურის განვითარებასა და პრაქტიკაში ევროპული სტანდარტების ეფექტიან იმპლემენტაციას.

ასოც. პროფესორი, დოქტ., დოქტ. ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტისასოცირებული პროფესორი

სარჩევი

ა 9
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 9
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია 9
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 9
ადგილსამყოფელი 9
ადგილმდებარეობის განსაზღვრის გლობალური სისტემა 9
ადმინისტრაციული ორგანო 9
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 10
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 10
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი 10
ადმინისტრაციული სახდელი 10
ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები 10
ადმინისტრაციული საჩივარი 10
ადმინისტრაციული ხელშეკრულება 10
ადმინისტრაციული ჯარიმა 10
ადმინისტრაციული წარმოება 11
ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება 11
ავტომატური საშუალებებით დამუშავება 11
ავტორიზებული წვდომა 11
აკადემიური მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება 12
ანაბეჭდი 12
ანგარიშვალდებულების პრინციპი 12
ანგარიშვალდებულება (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის) 12
აპლიკაცია 13
არაავტორიზებული წვდომა 13
არაავტომატური საშუალებებით დამუშავება 13
არაგეგმური შემოწმება 13
არქივი 13
არასრულწლოვანი 13
არასრულწლოვანის მონაცემები 14
არასრულწლოვანის მონაცემთა დამუშავება 14
არასრულწლოვანის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება 14
არასრულწლოვანის თანხმობა 14
არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა 15
ასლის მიღების უფლება 15
აუდიომონიტორინგი 15
აუდიოჩაწერა 15
აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 15
ბ 17
ბავშვის საუკეთესო ინტერესები 17
ბინადრობის ნებართვა 17
ბიოგრაფიული მონაცემი 17
ბიოლოგიური მასალა 17
ბიომეტრიული ვერიფიკაცია/ავთენტიფიკაცია 17
ბიომეტრიული მონაცემი 17
ბიომეტრიული მონაცემის დამუშავების წესი 17
ბიუჯეტი 17
ბრალდებული 18
ბრძანება 18
გ 20
გადატანის უფლება (პორტირება) 20
გადაუდებელი აუცილებლობა 20
გადაცემა (პერსონალური მონაცემის) 20
გადაწყვეტილება (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის) 20
გამართლებული 20
გამოხატვის თავისუფლება 20
გამჭვირვალობა 20
განაჩენი 20
განმარტებადი ხელოვნური ინტელექტი 21
განმცხადებელი 21
განრიდება 21
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი 21
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება 21
განსაიდუმლოება 22
განცხადება 23
გარდაცვლილი პირის მონაცემთა დამუშავება 23
გასაჩივრების უფლება 23
გაფრთხილება 23
გეგმური შემოწმება 23
გენეტიკური მონაცემი 24
გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა 24
გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა 24
გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა 24
გვარი 24

დ 26
დავალება 26
დაინტერესებული პირი 26
დამუშავება (პერსონალური მონაცემის) 26
დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი 26
დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი 26
დასაიდუმლოება 26
დაქტილოსკოპიური მონაცემი 26
დემოკრატიული მმართველობა 26
დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის ცნება 26
დენადი სამართალდარღვევა 27
დეპერსონალიზაცია 27
დიაგნოზი 27
დიდი მონაცემები 27
დირექტივა 27
დიფფეიქი 27

ე 29
ევროკავშირი 29
ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო 29
ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულება 29
ევროკავშირის კანონმდებლობა 29
ევროკავშირის დირექტივები 29
ევროპის საბჭო 30
ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი 30
ეთნიკური კუთვნილება 30
ეკონომიკური ინტერესი 30
ელექტრონული კომუნიკაცია 30
ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი 30
ელექტრონული სისტემა 30
ელექტრონული ფოსტა 31
ემოციების ამოცნობის სისტემა 31
ექსპერტი 31

ვ 33
ვიდეოგამოსახულება 33
ვიდეომონიტორინგი 33
ვიდეოჩაწერა 33
ვინაობის დადასტურება 33

ზ 35
ზეგავლენა (მონაცემთა დაცვაზე) 35
ზეგავლენის შეფასება 35
ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი 35

თ 37
თანადამუშავება 37
თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები 37
თანხმობა 37
თანხმობის გამოხმობის უფლება 37

ი 39
იდენტიფიცირება 39
იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი 39
იდენტიფიცირებული ფიზიკური პირი 39
ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიება 39
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 39
ინტერნეტი 39
ინტერნეტის ისტორია 39
ინტერნეტმომსახურება 39
ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელი 40
ინტელექტუალური საკუთრება 40
ინტელექტუალური საკუთრების დაცვა 40
ინტერესთა კონფლიქტი 40
ინტერნეტპროტოკოლის (IP) მისამართი 40
ინფორმაციის მიღების უფლება 40
ინფორმირება (თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ სუბიექტისგან არ ხდება) 40
ინფორმირება (მონაცემთა უშუალოდ სუბიექტისგან შეგროვების შემთხვევაში) 40
ინფორმაციული უსაფრთხოება 41
ინფორმაციის აღრიცხვა 41
ინციდენტი 41
ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება 41
ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების 41
ვალდებულებაიურიდიული პირი 41

კ 43
კანონი 43
კანონის მოქმედება 43

კანონიერების პრინციპი 43
კანონიერების შესწავლა 43
კანონიერების შესწავლის სახეები 43
კიბერუსაფრთხოება 43
კიბერსივრცე 44
კოდექსი 44
კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა 44
კონსტიტუცია 44
კონტროლის ელექტრონული სისტემა 44
კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა 44
კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ 44
კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ“ 45
კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება 45
კომერციული საიდუმლოება 45
კულტურული მახასიათებელი 45

ლ 47

ლეგიტიმური მიზანი 47
ლიტერატურული მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება 47
ლოგირება 47

მ 49

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები 49
მესამე პირი 49
მზა-ჩანაწერი 49
მისამართი 49
მინიმიზაციის პრინციპი 49
მონაცემთა ავტომატური ჩამოტვირთვა 50
მონაცემთა გაცნობის უფლება 50
მონაცემთა დამუშავება მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად 50
მონაცემთა დაშიფვრა 50
მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭო 50
მონაცემთა დაცვის უფლება 51
მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნები 51
მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია (ევროკავშირის) 51
მონაცემთა დაცვის შესაბამისობის გადაწყვეტილება 51
მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდი ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას 51
მონაცემთა მიმღები 52
მონაცემთა მიმღების კატეგორია 52
მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა 52
მონაცემთა სიზუსტე 52
მონაცემთა სუბიექტი 53
მონაცემთა სუბიექტთა დიდი რაოდენობა 53
მონაცემთა სუბიექტის უფლებები 53
მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა 53
მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა 53
მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიღებული ღონისძიებები 53
მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეტყობინება 54
მონაცემთა შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავება 54
მონაცემთა შენახვის ვადის განსაზღვრა 54
მოწმე 55
მსჯავრდებული 55
მტკიცების ტვირთი 55
მტკიცებულება 55
მხარე 55

ნ 57

ნამდვილობა (მონაცემების) 57
ნასამართლობა 57
ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავება 57
ნეირომონაცემები 57
ნეიროტექნოლოგია 57
ნეიროუფლებები 57
ნივთების ინტერნეტი (“IoT”) 57
ნორმატიული აქტი 57

ო 59

ოჯახური საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება 59

პ 61

პერსონალური მონაცემი 61
პერსონალურ მონაცემთა განადგურების უფლება 61
პერსონალურ მონაცემთა გასწორების და განახლების უფლება 61
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური 61
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის პრინციპები 61
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 61

პერსონალურ მონაცემთა დაბლოკვის უფლება 62
პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები 62
პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები 62
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი 63
პირადი მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება 63
პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება 63
პირადი ნომერი 63
პირდაპირი მარკეტინგი 64
პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება 64
პოლიტიკური შეხედულება 64
პროფაილინგი 64
პროფესიული კავშირის წევრობა 64
პროფესიული საიდუმლოება 64

ჟ 66

ჟესტიკულაცია 66

რ 68

რასობრივი კუთვნილება 68
„რბილი სამართალი“ 68
რეესტრი 68
რეკომენდაცია 68
რელიგიური მრწამსი 68

ს 70

საავტორო და მომიჯნავე უფლებები 70
სააპელაციო სასამართლო 70
საერთო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი 70
საერთაშორისო სამართალი 70
საერთაშორისო ურთიერთობები 70
საერთაშორისო ორგანიზაცია 70
საერთაშორისო ხელშეკრულება 71
სავალდებულო კორპორაციული წესები 71
საზედამხედველო ორგანო (პერსონალურ მონაცემთა დაცვის) 71
სათანადო გარანტიების დადგენა 71
საკონსტიტუციო სასამართლო 71
სამართლიანობის პრინციპი 71
სამართლებრივი აქტი 72
სამართლიანი სასამართლოს უფლება 72
სამართალდამრღვევი 72
სამართალდამცავი ორგანო 72
სამოქალაქო სახელი 72
სამსახურის თანამშრომელი 72
სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი 72
საპატიო მიზეზი 72
სასამართლო 73
სასამართლოში სამართალწარმოების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება 73
სახელი 73
სახელოვნებო მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება 73
სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი 73
სახელმწიფო სანომრე ნიშანი 73
სახის გამოსახულება, როგორც ბიომეტრიული მონაცემი 73
სახის გამოსახულების ბიომეტრიული ამოცნობა 73
საჯარო დაწესებულება 73
საჯარო ინფორმაცია 73
საჯარო მოსამსახურე 74
საჯარო მოხელე 74
სინთეზური მონაცემი 74
სოციალური მახასიათებელი 74
სპეციალური წარმომადგენელი 74
სპეციალური ანგარიში 74
სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიება 74
სქესობრივი ცხოვრება 74

ტ 76

ტელეფონის ნომერი 76
ტექნიკური საშუალება 76
ტექნოლოგია 76
ტრანზიტი (მონაცემის) 76

უ 78

უკანონო დამუშავება 78
უნიკალური იდენტიფიკატორი 78
უფლების ბოროტად გამოყენება 78

ფ 80

ფაილური სისტემა 80
ფარული საგამოძიებო მოქმედება 80
ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი 80

ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორი 80
ფაქტობრივი გარემოება 80
ფიზიკური მახასიათებელი 80
ფიზიოლოგიური მახასიათებელი 80
ფილოსოფიური მრწამსი 81
ფსიქიკური მახასიათებელი 81
ფსიქიკური ჯანმრთელობა 81
ფსიქოლოგიური მახასიათებელი 81
ფსევდონიმიზაცია 81

ქ 83
ქსელური და საინფორმაციო უსაფრთხოების ევროპული სააგენტო 83
ქცევის კოდექსი 83
ქცევის მახასიათებელი 83
ქცევის სისტემური და მასშტაბური მონიტორინგი 83

ღ 85
ღეროვანი უჯრედი 85
ღონისძიებების გამოყენება (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ) 85

ყ 87
ყალბი მონაცემი 87

შ 89
შევსების უფლება 89
შემეცნებითი (კოგნიტური) ბიომეტრიული მონაცემი 89
შემოწმების განხორციელება 89
შენიშვნა 89
შენგენის ცენტრალური საინფორმაციო სისტემა 89
შეტყობინება 89
შეწყვეტა 89
შვილება 89

ჩ 91
ჩვენება 91

ც 93
ციფრული გარემო 93
ციფრული კვალი 93
ცნობა 93

ძ 95
ძალაში შესვლა 95
ძალადობის მსხვერპლის სტატუსი 95
ძირითადი დაწესებულება 95

წ 97
წარმოება 97
წაშლის უფლება 97
წერილობითი თანხმობა 97

ჭ 99
ჭკვიანი მოწყობილობა 99

ხ 101
ხელმისაწვდომობის შეზღუდვა 101
ხელოვნური ინტელექტი 101
ხელშეკრულება (მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის) 101
ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ 101
ხმის მახასიათებელი 101
ხმოვანი სიგნალი 101

ჯ 103
ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი 103
ჯანმრთელობის დაცვის სისტემა 103

ჰ 105
ჰონორარი 105
29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი 106



ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული დეკლარაცია, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ადამიანის უფლებათა დაცვის მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებასა და სამართლებრივ აქტს.[1]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს. კონვენციის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის ნაწილი აბსოლუტურია და მათი შეზღუდვა დაუშვებელია ნებისმიერ სიტუაციაში, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც კი, ხოლო ნაწილი კვალიფიცირებულია, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია მართლზომიერი ჩარევა ამ უფლებათა გამოყენებაში.[2] ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში პირდაპირ არ არის მითითება პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებაზე, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთგვაროვანი განმარტების თანახმად, მას იცავს კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება).[3] ამჟამად, კონვენციას ევროპის საბჭოს წევრი 46 ხელმომწერი სახელმწიფო ჰყავს. ევროპულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

1959 წელს, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ საფუძველზე შექმნილი ორგანო. კონვენცია მისი მონაწილე სახელმწიფოებისთვის წარმოშობს სამართლებრივ ვალდებულებებს. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა კონვენციის 33-ე, 34-ე, 46-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სტრასბურგში მდებარეობს.

ადგილსამყოფელი

ადგილი, სადაც იმყოფება მონაცემთა სუბიექტი. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად მიიჩნევა მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), ხოლო სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად.[4] გეოლოკაციის მონაცემი პერსონალური მონაცემია.[5] ევროკავშირში დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ძირითადი დაწესებულება არის მისი ცენტრალური ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საშუალებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულ სხვა დაწესებულებაში.[6]

ადგილმდებარეობის განსაზღვრის გლობალური სისტემა

თანამგზავრზე დაფუძნებული გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილმდებარეობისა და დროის განსაზღვრის ინფორმაციას დედამიწაზე, სადაც არის ოთხი ან მეტი “GPS” თანამგზავრის შეუფერხებელი წვდომა. სისტემა არ მოითხოვს მომხმარებლისგან რაიმე მონაცემის გადაცემას და მუშაობს ნებისმიერი სატელეფონო ან ინტერნეტმიმღებისგან დამოუკიდებლად.[7]

ადმინისტრაციული ორგანო

ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.[8]

---

[1] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 10/12/1948.
[2] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული (2019-2023 წლები), პერსონალურ მონაცემთა დაცვა, თბილისი, 2024
[3] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 04/11/1950.
[4] მუხლი 26, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.
[5] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[6] პუნქტი 36, პრეამბულა, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).
[7] მუხლი 3, ქვეპუნქტი ჰ[4], „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023; The Global Positioning System, <https://www.gps.gov/systems/gps/>.
Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).
[8] მუხლი 2, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „ა“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.[9]

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად შედგენილი აქტი, რომელიც სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი მტკიცებულებაა და მის შესაბამისად დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს ეკისრება ადმინისტრაციული სახდელი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.[10]

ადმინისტრაციული სახდელი

პასუხისმგებლობის ზომა; გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.[11]

ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები

სამართალდამრღვევისათვის სანქციის დაკისრების კანონით განსაზღვრული ვადა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციული სახდელების დადებისას გამოიყენება აღნიშნული კანონით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს არაუგვიანეს 4 თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო თუ სამართალდარღვევა დენადია - არაუგვიანეს 4 თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადის დენა შეჩერდება სასამართლოს მიერ ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.[12]

ადმინისტრაციული საჩივარი

დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.[13]

ადმინისტრაციული ხელშეკრულება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.[14]

ადმინისტრაციული ჯარიმა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელი. ფიზიკურ პირს, საჯარო დაწესებულებას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, აგრეთვე იურიდიულ პირს, უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალსა და ინდივიდუალურ მეწარმეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის:

- მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა;
- მონაცემთა დამუშავება კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე;

[9] მუხლი 10, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 15/12/1984.
[10] მუხლი 52, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[11] მუხლი 23, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 15/12/1984.
[12] მუხლი 65, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[13] მუხლი 2, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „ი“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999.

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე;
- ვიდეომონიტორინგის ან აუდიომონიტორინგის განხორციელების წესების დარღვევა;
- გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა;
- პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება წესების დარღვევით;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის III თავით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევა;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა;
- მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტის, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდი ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას, მოთხოვნის დარღვევა;
- მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობა;
- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვის ვალდებულების შეუსრულებლობა;
- ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა;
- ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა;
- მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულების შეუსრულებლობა;
- მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღებისა და მის მიერ თანხმობის გამოხმობის დროს კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა;
- სპეციალური წარმომადგენლის განსაზღვრასთან/დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე და 36-ე მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით დადგენილი წესების დარღვევა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსისთვის ან სამსახურის უფლებამოსილი პირისთვის კანონით განსაზღვრული უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა.[15]

ადმინისტრაციული წარმოება

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.[16]

ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელსაც აქვს ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, თუმცა შეიძლება გავრცელდეს საგამონაკლისო შემთხვევები ან დამატებითი მოთხოვნები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისას. ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მოვალეობები განსაზღვრულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.[17]

ავტომატური საშუალებებით დამუშავება

მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.[18] მაგალითად, პერსონალური კომპიუტერის, მობილური მოწყობილობის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის დახმარებით და ა.შ.

ავტორიზებული წვდომა

პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაბამისი უფლების მქონე პირის მიერ. ფაქტი, რომ დაინტერესებული პირი წარმოადგენს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს შეიძლება დადასტურდეს მომხმარებლის პირადი მონაცემებით, პაროლით, თითის ანაბეჭდით, დროებითი

[14] მუხლი 2, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „ზ", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999.
[15] მუხლები 66-87, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[16] მუხლი 2, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „კ", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999.
[17] მუხლი 19, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[18] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ზ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.

პროლით და სხვა. აღნიშნული მაიდენტიფიცირებლების მოპარვა/გამოცნობა/გამოთვლა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებაა, რაც წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევას და დამატებით შესაძლოა გამოიწვიოს პერსონალური მონაცემების არამართლზომიერი ან შემთხვევით დაზიანება, დაკარგვა, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნება, განადგურება, შეცვლა, მათზე წვდომა მათი შეგროვება/მოპოვება ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავება.[19]

აკადემიური მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

მონაცემთა დამუშავება აკადემიური საქმიანობის ფარგლებში, რომელზეც არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომია განიმარტება, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის თავისუფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა. ამდენად, აკადემიური მიზნის ფარგლები უკავშირდება აკადემიურ თავისუფლებას და მხოლოდ აკადემიური გამოხატვის მიზნით მონაცემთა დამუშავების პროცესზე არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება. მიუხედავად აღნიშნულისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე ვრცელდება კანონის მოქმედება.

ანაბეჭდი

ფიზიკური პირის უნიკალური მაიდენტიფიცირებელი ბიომეტრიული მონაცემი, რომელიც წარმოადგენს პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს და ხშირ შემთხვევაში გამოიყენება პიროვნების იდენტიფიცირების, ვიზის გაცემისა და საზღვრის კონტროლის, საცავებში ან საიდუმლო ობიექტებზე შესვლის, გამოძიების მიზნებისთვის. მაგალითად, ადამიანის თითის კვალი და ა.შ.

ანგარიშვალდებულების პრინციპი

პრინციპი, რომლის თანახმად დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან/და უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ყველა პრინციპის დაცვაზე და მათთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობაზე. აღნიშნული პრინციპის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია:

- მონაცემთა დაცვის/ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება;
- პერსონალური მონაცემების, დამუშავების საფუძვლებისა და მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვა;
- მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული თანამშრომლების ინფორმირება/გადამზადება;
- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მაგალითად, პირის წერილობითი თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე) განსაზღვრული ვადით შენახვა;
- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
- მონაცემთა შენახვის ვადებისა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა;
- ქცევის კოდექსის შემუშავება ან საქმიანობის სფეროში უკვე დამტკიცებულ ქცევის კოდექსთან მიერთება;
- ნებაყოფლობითი სერტიფიცირება.[20]

ანგარიშვალდებულება (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის)

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური კანონის საფუძველზე შექმნილი, დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.[21] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 31 მარტისა, წარუდგენს ანგარიშს საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლის შესახებ. ანგარიში შეიცავს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მონაცემთა დაცვის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ, საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ინფორმაციას წლის განმავლობაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე, ზოგად სტატისტიკურ ინფორმაციას ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კონტროლის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.[22]

[19] მუხლი 3, ქვეპუნქტი „წ"; მუხლი 4, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „ვ"; მუხლი 27, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[20] 29-ე მუხლის მონაცემთა დაცვის სამუშაო ჯგუფი, სახელმძღვანელო რეკომენდაცია გამჭვირვალობის პრინციპის შესახებ, 2017, 24, <pdps.ge/files>.
[21] მუხლი 39, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[22] მუხლი 48, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.

აპლიკაცია

გამოყენებითი ელექტრონული პროგრამა, რომელიც ასრულებს კონკრეტულ დავალებებს. მის მუშაობას უზრუნველყოფს მოწყობილობა - იქნება ეს კომპიუტერი თუ სხვა, სადაც განთავსებულია იგი. შეიძლება იყოს სხვადასხვა დანიშნულების და შინაარსის.[23]

არაავტორიზებული წვდომა

პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება მონაცემთა ბაზაზე შესაბამისი უფლების არმქონე პირის მიერ, რაც წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევას.[24]

არაავტომატური საშუალებებით დამუშავება

მონაცემთა დამუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას შეიძლება საჭირო გახდეს პერსონალური მონაცემების არაავტომატური გამოყენება, რა დროსაც მონაცემების სტრუქტურიზება შესაძლებელია იმგვარად, რომ მოხერხდეს ინფორმაციის სწრაფად და ადვილად მოძიება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება იმ მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შესატანად მუშავდება. „ფაილურ სისტემად მიიჩნევა მონაცემთა სტრუქტურიზებული წყება, რომელშიც ისინი დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით“.[25]

არაგეგმური შემოწმება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილება, ჩაატაროს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საკუთარი ინიციატივით ან შეტყობინების საფუძველზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ საკუთარი ინიციატივით მონაცემთა დამუშავების კანონიერების არაგეგმური შემოწმების (ინსპექტირება) დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან სხვა წყაროთი გავრცელებული ინფორმაცია მონაცემთა კანონის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევით დამუშავების ფაქტზე;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-138 მუხლებით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლის ფარგლებში (მათ შორის, ელექტრონულ სისტემებში განხორციელებული აქტივობების კონტროლის ფარგლებში) გამოვლენილი შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტი;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის და სპეციალური წარმომადგენლის მიერ სამსახურისათვის კანონის 28-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
- ნებისმიერი სხვა მოქმედება ან/და ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მონაცემთა კანონის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევით დამუშავებას.[26]

არქივი

დოკუმენტების ერთობლიობა, ნაკრები, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა დაწესებულების მიერ საქმიანობის განსახორციელებლად. არქივი იქმნება საარქივო დოკუმენტების დროული მიღების, მათი აღრიცხვის, დაცვის უზრუნველყოფის, მოწესრიგების, გამოყენებისა და მუდმივი შენახვისათვის გადასაცემად მომზადების მიზნით. დოკუმენტების მოცულობის მიხედვით არქივი იქმნება როგორც დაწესებულების დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი ან ქვედანაყოფი სხვა სამსახურის შემადგენლობაში, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების მიღებასა და შენახვას, შემდგომი გამოყენების მიზნით.[27]

არასრულწლოვანი

18 წლამდე პირი - ბავშვი.[28] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუუნაროდ მიიჩნევა, ხოლო არასრულწლოვანი შვიდიდან 18 წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.29 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის

[23] ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონი, <https://techdict.ge/ka/word/application/>
[24] მუხლი 3, ქვეპუნქტი „წ“; მუხლი 4, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „ვ“; მუხლი 27, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[25] მუხლი 3, ქვეპუნქტი „თ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[26] მუხლი 7, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.
[27] მუხლი პირველი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის №174 ბრძანება „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“, 15/06/2007.
[28] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, ბავშვის უფლებათა კოდექსი, 20/09/2019.
[29] მუხლი 12-14, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.

მიზნებისათვის არასრულწლოვანად მიიჩნევა პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.[30]

არასრულწლოვანის მონაცემები

არასრულწლოვანთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად არასრულწლოვან მონაცემთა სუბიექტს - ფიზიკურ პირს უკავშირდება. მონაცემთა სუბიექტი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.[31]

არასრულწლოვანის მონაცემთა დამუშავება

ნებისმიერი იმგვარი ინფორმაციის დამუშავება, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად არასრულწლოვანს უკავშირდება. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, გაითვალისწინოს საკანონმდებლო მოთხოვნები და დაიცვას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები.[32]

არასრულწლოვანის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

არასრულწლოვანის მონაცემი, რომელიც უკავშირდება მის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე, ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც არასრულწლოვანის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.

არასრულწლოვანის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად მიიჩნევა მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.[33]

არასრულწლოვანის თანხმობა

არასრულწლოვანის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ, მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება. არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუ მან 16 წლის ასაკს მიაღწია, ხოლო 16 წლამდე არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს გონივრული და ადეკვატური ზომა 16 წლამდე არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის დასადასტურებლად.[34]

[30] მუხლი 3, ნაწილი პირველი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 12/06/2015.
[31] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[32] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა - თეორია და პრაქტიკა, 2024; ციფრულ გარემოში ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის გზამკვლევი, 2022.
[33] მუხლი 7, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[34] მუხლი 7, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

არასრულწლოვანის მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა

არასრულწლოვანის, მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ ნების გამოვლენა არასრულწლოვანის მონაცემების დამუშავებაზე. გამოხატული ნება არ მიიჩნევა ნამდვილად, თუ მონაცემთა დამუშავება საფრთხეს უქმნის ან ზიანს აყენებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული დებულებები არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის მიღებამდე დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მის მიერ თანხმობის გამოხმობის უფლების შესახებ. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. ამ შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თანხმობა გამოიხმოს იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა. მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობამდე უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.[35]

ასლის მიღების უფლება

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან პერსონალური მონაცემების ასლების უსასყიდლოდ მიღების უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა ასლების გაცემისთვის: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მიიღოს მონაცემთა ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არის დადგენილი. განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ასლები იმ ფორმით, რომლითაც დაცულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან. მონაცემთა სუბიექტს აგრეთვე უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა ასლების მიწოდება განსხვავებული ფორმით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილი გონივრული საფასურის სანაცვლოდ და იმ შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.[36]

აუდიომონიტორინგი

საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხმოვანი სიგნალის მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, აუდიოკონტროლი ან/და აუდიოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა). აუდიომონიტორინგის განხორციელება დასაშვებია: მონაცემთა სუბიექტის თანხმობით; საოქმო ჩანაწერის საწარმოებლად; დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად, თუ განსაზღვრულია სათანადო და კონკრეტული ღონისძიებები მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად; საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, რომელსაც განსაზღვრავს სპეციალური კანონმდებლობა.[37]

აუდიოჩაწერა

აუდიომონიტორინგის განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმი. აუდიომონიტორინგის განსახორციელებლად დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესაბამისად, წერილობით, წინასწარ განსაზღვროს აუდიოჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები.[38]

აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

დაინტერესებული მხარის უფლებით ან სარგებლით აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.[39]

[35] მუხლი 7, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[36] მუხლი 14, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[37] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ყ"; მუხლი 11, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[38] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ყ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[39] მუხლი 2, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „ვ", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999.



ბავშვის საუკეთესო ინტერესები

ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.[40]

ბინადრობის ნებართვა

საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძველი. გაიცემა საქართველოში მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.[41]

ბიოგრაფიული მონაცემი

ფაქტობრივი ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის პირადი და პროფესიული მოვლენების, განათლების, საზოგადოებრივი და კერძო საქმიანობის, უნარ-ჩვევებისა და მისი სხვა მიღწევების შესახებ.

ბიოლოგიური მასალა

ბიოლოგიური ნიმუში, რომლის ანალიზი მონაცემთა სუბიექტის ფიზიოლოგიისა და ჯანმრთელობის შესახებ უნიკალურ ინფორმაციას იძლევა.[42]

ბიომეტრიული ვერიფიკაცია/ავთენტიფიკაცია

ვერიფიკაციის პროცესში მოპოვებული ფიზიკური პირის ბიომეტრიული მონაცემის მოწყობილობაზე განთავსებულ ინდივიდუალურ ბიომეტრიულ შაბლონთან შედარების პროცესი, რა დროსაც ბიომეტრიული სისტემის მეშვეობით ხდება პირის ვინაობის დადასტურება.[43]

ბიომეტრიული მონაცემი

ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული, მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელთან დაკავშირებული მონაცემი, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, სახის გამოსახულება, ხმის მახასიათებელი, დაქტილოსკოპიური მონაცემები და სხვა.[44]

ბიომეტრიული მონაცემის დამუშავების წესი

მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესაბამისად, მონაცემების დამუშავების პროცესის დაწყებამდე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზანს და მოცულობას, შენახვის ვადას, შენახვისა და განადგურების წესს და პირობებს, აგრეთვე, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმებს.[45] ბიომეტრიული მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს საქმიანობის განხორციელების, უსაფრთხოების, საკუთრების დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, როდესაც ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სპეციალურ შემთხვევებში.

ბიუჯეტი

საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.[46]

---

[40] მუხლი 3, ქვეპუნქტი „თ“, ბავშვის უფლებათა კოდექსი, 20/09/2019.

[41] მუხლი 14, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 05/03/2014.

[42] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ე“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

[43] Article 29 Data Protection Working Party, Opinion 3/2012 on developments in biometric technologies, 27.04.2012, 6, <https://ec.europa.eu/justice/article-29/documentation/opinion-recommendation/files/2012/wp193_en.pdf>

[44] მუხლი 3, ქვეპუნქტი „დ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023; მუხლი 4, ქვეპუნქტი 14, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).

[45] მუხლი 9, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

[46] მუხლი 6, ქვეპუნქტი „გ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 18/12/2009.

ბრალდებული

პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.[47]

ბრძანება

სამართლებრივი აქტი, რომლის იურიდიული ძალა განისაზღვრება კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ბრძანება შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, სათანადო ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცეს ბრძანება.[48]

[47] მუხლი 3, ნაწილი 19, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
[48] მუხლი 40, პუნქტი 2, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ვ

გადატანის უფლება (პორტირება)
მონაცემთა სუბიექტის უფლება დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვოს მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.[49]

გადაუდებელი აუცილებლობა
შემთხვევა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს მონაცემების მოპოვება.[50] გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს შეიცავს, ფარული საგამოძიებო მოქმედების დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.[51]

გადაცემა (პერსონალური მონაცემის)
მონაცემთა დამუშავების ფორმა, რა შემთხვევაშიც პერსონალური მონაცემები გამჟღავნების მიზნით გადაეცემა მონაცემთა მიმღებს - ფიზიკურს პირს, იურიდიულ პირს ან საჯარო დაწესებულებას, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა.[52]

გადაწყვეტილება (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის)
სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტი. საქმის წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოში შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოტანილია ხსენებული გადაწყვეტილება, მისი ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.[53]

გამართლებული
პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, რაც ნიშნავს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას. გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის უდანაშაულობის გამომრიცხავ ან მისი სახელის გამტეხ ფორმულირებებს.[54]

გამოხატვის თავისუფლება
საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას, ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან აღნიშნული უფლებით. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება.[55]

გამჭვირვალობა
პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპი, რომლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტისთვის ნათელი უნდა იყოს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვება, გამოყენება, გაცნობა ან სხვა სახით დამუშავება. ამასთანავე, თუ პირს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ გარკვეული ინფორმაცია მიეწოდება მისი პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს გამჭვირვალე, გასაგები და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით, მკაფიო და მარტივი ენით გადმოცემული.

განაჩენი
საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.[56]

---

[49] მუხლი 18, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[50] მუხლი 143[3], ნაწილი 6, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
[51] მუხლი 28, პუნქტი 6, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[52] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ვ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[53] მუხლი 63, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[54] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
[55] მუხლი 3, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 24/06/2004.
[56] მუხლი 3, ნაწილი 14, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.

განმარტებადი ხელოვნური ინტელექტი

ხელოვნური ინტელექტის სისტემების შესაძლებლობა, მკაფიოდ და გასაგებად განმარტონ თავიანთი ქმედებები და გადაწყვეტილები. მისი მიზანია ადამიანებისთვის გასაგები გახდეს ხელოვნური ინტელექტის სისტემების ქცევა გადაწყვეტილების მიღების პროცესის მექანიზმების გამჭვირვალობის დახმარებით.[57]

განმცხადებელი

მონაცემთა სუბიექტი, რომელიც განცხადებით ითხოვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას.[58]

განრიდება

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვანის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.[59]

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი

სენსიტიური მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება.[60]

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფითა და ერთ-ერთი შემდეგი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოს თანხმობა;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პრევენციული, პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პალიატიური მზრუნველობის, მომსახურების, სამედიცინო მოწყობილობების და პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის მიზნებით საქართველოს კანონმდებლობის ან ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტთან დადებული ხელშეკრულების (თუ ამ მონაცემებს ამუშავებს პირი, რომელსაც პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ეკისრება) შესაბამისად;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მომსახურების მართვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება საჭიროა დანაშაულის თავიდან აცილების (მათ შორის, სათანადო ანალიტიკური კვლევის), დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, დროებითი მოთავსების იზოლატორში პირის განთავსების უზრუნველყოფის, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საერთაშორისო დაცვის განხორციელების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების, სამოქალაქო და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის,

[57] European Data Protection Supervisor (EDPS), TechDispatch #2/2023 - Explainable Artificial Intelligence, 3, 2023, <https://www.edps.europa.eu/system/files/2023-11/23-11-16_techdispatch_xai_en.pdf>.
[58] მუხლი 50, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[59] მუხლი 168[1], საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
[60] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ან სასამართლოს მიერ კრიმინოლოგიური კვლევის ჩატარების) მიზნებისთვის და ამ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია შესაბამისი კანონით ან კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;
- მონაცემთა სუბიექტმა გამოყენების აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე საჯარო გახადა თავისი მონაცემები;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, პროფესიული გაერთიანების, რელიგიური ან არარელიგიური ფილოსოფიური რწმენის ორგანიზაციის მიერ იმავე საქმიანობის მიზნებისთვის. ამ შემთხვევაში აღნიშნულ მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერთიანების/ორგანიზაციის მოქმედ ან ყოფილ წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან მისი მიზნებიდან გამომდინარე, იმ პირობით, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე აღნიშნული მონაცემების მესამე პირისთვის გაცემა არ მოხდება;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესებისთვის არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის, თუ კანონი ითვალისწინებს სათანადო და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების ეს საფუძველი არ გამოიყენება, თუკი სპეციალური კანონით პირდაპირ გათვალისწინებულია ამ მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა დამატებითი და განსხვავებული პირობებით;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირების მიზნით;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკითხის განხილვის მიზნით;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, აგრეთვე არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის მიზნით;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის ან გამოქვეყნების მიზნით;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება უწყებათაშორისი კოორდინაციის ინსტიტუციური მექანიზმის ფუნქციონირებისთვის - ბავშვის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან უსაფრთხოებისთვის ან/და ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის ან მისი უფლებისთვის მიყენებული ზიანის ან მოსალოდნელი რისკების შემცველი შემთხვევის გამოვლენის ან/და მართვის მიზნებისთვის და ამ მიზნების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ კომპეტენტურ ორგანოებს (უწყებებს) შორის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის დასაბუთების ვალდებულება ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.[61]

განსაიდუმლოება

სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისათვის „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვების მოხსნა.[62]

[61] მუხლი 6, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[62] მუხლი პირველი, პუნქტი 6, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 19/02/2015.

განცხადება

მონაცემთა სუბიექტის მიერ სათანადო ფორმით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში წარმოდგენილი მომართვა.[63]

გარდაცვლილი პირის მონაცემთა დამუშავება

მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, რომელიც დასაშვებია:

- მონაცემთა დამუშავებისა და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლების გათვალისწინებით;
- თუ ამ მონაცემთა დამუშავება აკრძალული არ არის მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა გარდაცვალებამდე წერილობით აკრძალა მისი გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება);
- თუ მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელი;
- მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლების განსახორციელებლად.[64]
- მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ შესაძლებელია დამუშავდეს მისი სახელი, გვარი, სქესი, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები. ფიზიკური პირის გარდაცვალების მომენტად მიიჩნევა თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.[65]

გასაჩივრების უფლება

მონაცემთა სუბიექტის უფლება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.[66] პირმა შესაძლებელია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილება, რომელიც საქმის წარმოების შედეგად მიიღება და მის მიმართ არის გამოტანილი. გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, იგი აღსრულდება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.[67]

გაფრთხილება

ადმინისტრაციული სახდელის სახე, რომელიც სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოებს გამოაქვთ წერილობითი ფორმით.[68]

გეგმური შემოწმება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილება, ჩაატაროს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) შემოწმების წლიური გეგმის შესაბამისად. შემოწმების წლიური გეგმა შესაძლებელია ითვალისწინებდეს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებას ძირითადი მიმართულებების (მათ შორის, სფეროების, მიზნობრივი ჯგუფების ან სხვა ნიშნის) ან/და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიხედვით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა შესაძლოა გაითვალისწინოს:

- რისკების შეფასების შედეგები;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 169-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 176-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილი სამსახურის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მომართვა მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების (ინსპექტირება) ჩატარებასთან დაკავშირებით;
- ტექნოლოგიური სიახლეები;
- კონსულტაციები დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებთან/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებთან;
- სამსახურის რესურსები.[69]

[63] მუხლი 22, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[64] მუხლი 8, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[65] მუხლი 11, პუნქტი 3, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.
[66] მუხლი 22, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[67] მუხლი 63, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[68] მუხლი 26, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 15/12/1984.
[69] მუხლი 6, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.

გენეტიკური მონაცემი

მონაცემთა სუბიექტის შეძენილი ან მემკვიდრეობით მიღებული მახასიათებელი, რომელიც ბიოლოგიური მასალის ანალიზით მისი ფიზიოლოგიის ან ჯანმრთელობის შესახებ უნიკალურ ინფორმაციას იძლევა.[70]

გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრას სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურაში უზრუნველყოფს.[71]

გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა

წინასწარ განსაზღვრული არქიტექტურითა და დადგენილი ინტერფეისებით მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის რეალურ დროში მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით განსაზღვრა ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ქსელურ ან/და სასადგურე ინფრასტრუქტურაზე შესაბამისი აპარატული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსებით/მონტაჟით.[72]

გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა

მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის რეალურ დროში მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით განსაზღვრა ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის ქსელურ ან/და სასადგურე ინფრასტრუქტურაზე მიერთების გარეშე, სპეციალური ტექნიკური ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით.[73]

გვარი

დაბადებით ან ქორწინებით მიღებული სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის სახელს. სამოქალაქო აქტის ჩანაწერსა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობაში სახელისა და გვარის ჩაწერა ხორციელდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით. დაქორწინების დროს მეუღლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი მეუღლის გვარი, ანდა თითოეულმა დაიტოვოს თავისი ქორწინებამდელი გვარი, ან თავისი გვარი შეუთავსოს მეუღლის გვარს. შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი, ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით.[74] მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ იწვევს შვილის გვარის გამოცვლას. მშობელს, რომელთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვს, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს შვილისთვის თავისი გვარის მიკუთვნების შესახებ. 10 წლამდე ბავშვის გვარის შეცვლისას, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი. 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის გვარის შეცვლისთვის საჭიროა მისი თანხმობაც.[75]

---

[70] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ე", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023, მუხლი 4, ქვეპუნქტი 13, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation); პუნქტი 23, პრეამბულა, Directive (EU) 2016/680 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data by competent authorities for the purposes of the prevention, investigation, detection or prosecution of criminal offences or the execution of criminal penalties, and on the free movement of such data, and repealing Council Framework Decision 2008/977/JHA.

[71] მუხლი 3, ქვეპუნქტი ჰ[4], „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.

[72] მუხლი 2, ქვეპუნქტი „მ", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონი, 22/03/2017.

[73] მუხლი 2, ქვეპუნქტი „ნ", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონი, 22/03/2017.

[74] მუხლი 1195, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.

[75] მუხლი 1196, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.

დავალება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისთვის წერილობითი ფორმით მიცემული, შესასრულებლად სავალდებულო მითითება.[76]

დაინტერესებული პირი

ნებისმიერი საჯარო დაწესებულება, ფიზიკური და იურიდიული პირი, გარდა განმცხადებლისა, რომელიც ითხოვს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შესწავლას.[77]

დამუშავება (პერსონალური მონაცემის)

მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, მათი შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, მათი ფოტოგადაღება, ვიდეომონიტორინგი ან/და აუდიომონიტორინგი, ორგანიზება, დაჯგუფება, ურთიერთდაკავშირება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, აგრეთვე მონაცემთა გამჟღავნება მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.[78]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი

ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.[79]

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი

ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელიც მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით. დამუშავებაზე უფლებამოსილ პირად არ მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირი.[80]

დასაიდუმლოება

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა.[81] სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დასაიდუმლოება ხდება კანონიერების, დასაბუთებულობისა და დროულობის პრინციპების შესაბამისად.

დაქტილოსკოპიური მონაცემი

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომელიც მიიღება ფიზიკური პირის ხელის თითების ბალიშების კანის ნახაზის მორფოლოგიური თავისებურებების შესწავლის მეთოდით და გამოიყენება პიროვნების იდენტიფიკაციისათვის.

დემოკრატიული მმართველობა

ხელისუფლების მართვის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის ნების უზენაესობას და ხელისუფლების ხალხის მიერ განხორციელებას.[82]

დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის ცნება

უფლებაში ჩარევის მასშტაბი არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა კანონიერი მიზნის მისაღწევად. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უფლებაში ჩარევის მასშტაბი, განსაკუთრებით იმ პირთა რაოდენობა, რომელსაც შეეხება აღნიშნული ჩარევა და ის მექანიზმები, რომლებიც ზღუდავს ამგვარი ჩარევის მასშტაბს ან სხვა უარყოფით გავლენას ადამიანის უფლებაზე.[83]

---

[76] მუხლი 52, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „ე“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[77] მუხლი 2, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „ვ“, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.
[78] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ვ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[79] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ო“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[80] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ჟ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[81] მუხლი პირველი, პუნქტი 5, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 19/02/2015.
[82] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საძიებელი, <www.nplg.gov.ge>.
[83] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 47-48.

დენადი სამართალდარღვევა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევა, რომლის ჩადენა იწყება ქმედებით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. დენადი სამართალდარღვევა დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან.[84]

დეპერსონალიზაცია

მონაცემთა დამუშავება, რის შედეგად შეუძლებელია მონაცემთა სუბიექტთან მონაცემების დაკავშირება ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებს ან/და დროს საჭიროებს.[85]

დიაგნოზი

მონაცემთა სუბიექტის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

დიდი მონაცემები

მონაცემთა სიმრავლე, რომლის შეგროვება, მართვა და დამუშავება ტრადიციული მონაცემთა ბაზებისა და შესაბამისი პროგრამების შესაძლებლობებს არსებითად აღემატება.[86]

დირექტივა

ევროკავშირის მეორეული სამართლის აქტი.[87] ევროკავშირში მონაცემთა დაცვის სტანდარტები ეფუძნება ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციას“ და დირექტივას „უფლებამოსილი ორგანოების მიერ დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, დადგენის ან სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის აღსრულების მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“.

დიფფეიქი

ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შექმნილი ან მანიპულირებული გამოსახულება, აუდიო ან ვიდეო „შიგთავსი“, რომელიც წააგავს რეალურად არსებულ პირებს, ობიექტებს, ადგილებს, დაწესებულებებს ან მოვლენებს და ადამიანი მას ავთენტურად ან ნამდვილად აღიქვამს.[88]

[84] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ხ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[85] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ც“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[86] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 398-400.
[87] ოპერმანი თ., კლასენი კ. დ., ნეთესჰაიმი მ., ევროპული სამართალი, 2018, 178-180.
[88] Article 3, §60, Regulation (EU) 2024/1689 of The European Parliament and of The Council (Artificial Intelligence Act), 13.06.2024, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32024R1689>.



ევროკავშირი

პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში. ევროკავშირი ეფუძნება ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის ღირებულებებს. გაერთიანება ხელმძღვანელობს შეთანხმებებით, კანონქვემდებარე აქტებით, ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული დებულებებით, დირექტივებითა და რეკომენდაციებით, რაც ევროკავშირის ძირითად პოლიტიკასთან ერთად არის იმ გადაწყვეტილებების შედეგი, რომლებსაც იღებენ ევროკავშირის საბჭო, ევროპარლამენტი, ევროკომისია და სხვა ინსტიტუტები/ორგანოები. გაერთიანების მიზნები გულისხმობს ეკონომიკის ზრდას, ფასების სტაბილურობას, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, შიდა ბაზრის შექმნას, გარემოს დაცვას, სოციალური სამართლიანობისა და კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფას, ასევე, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნას და ა.შ.[89]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

1952 წელს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში კანონების ერთგვაროვნად ინტერპრეტირებისა და იმპლემენტაციის მიზნით დაფუძნებული ორგანო. სასამართლო განთავსებულია ლუქსემბურგში და იხილავს ევროკავშირის მთავრობებსა და ინსტიტუტებს შორის წამოჭრილ დავებსაც. ფიზიკურ პირებს, კომპანიებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, თუ მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის ინსტიტუტებმა დაარღვიეს მათი უფლებები.

ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულება

წარმოადგენს ევროკავშირის პირველადი სამართლის წყაროს. 1957 წელს, როდესაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანება დაარსდა, მას მხოლოდ ექვსი წევრი ჰყავდა. დანარჩენი წევრები ევროკავშირს მომდევნო წლებში შეუერთდნენ. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას (შემდგომ, „ასოცირების შესახებ შეთანხმება“). საქართველოს პარლამენტის მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმება რატიფიცირებულ იქნა 2014 წლის 18 ივლისს.[90] ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ კი, 2016 წლის 1 ივლისს, ის სრულად შევიდა ძალაში. საქართველომ ვალდებულება აიღო, შესაბამის სფეროებში ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის სამართლებრივ აქტებს ეტაპობრივად დაუახლოოს და მათი ეფექტურად განხორციელება უზრუნველყოს.[91]

ევროკავშირის კანონმდებლობა

ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგი დაფუძნებულია პირველად და მეორეულ კანონმდებლობას.[92] იერარქიის სათავეშია სამართლის პირველადი წყაროები: ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულება, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულებები და ევროკავშირის სამართლის ზოგადი პრინციპები. მათ მოჰყვება ევროკავშირის მიერ ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან დადებული საერთაშორისო შეთანხმებები. მეორეული კანონმდებლობა ემყარება ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებას და ძალას იძენს მხოლოდ პირველად კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემთხვევაში. მათ შორის, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.[93]

ევროკავშირის დირექტივები

სამართლებრივი აქტები, რომლებიც მიემართება ევროკავშირის თითოეულ წევრ სახელმწიფოს და შესასრულებლად სავალდებულოა დასახული მიზნის მიღწევის ფარგლებში. დირექტივა მისი შესრულების ფორმისა და საშუალების არჩევის შესაძლებლობას თავად წევრ სახელმწიფოებს ანიჭებს.[94]

---

[89] ოპერმანი თ., კლასენი კ. დ., ნეთესჰაიმი მ., ევროპული სამართალი, 2018, 1-14.

[90] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27/06/2014.

[91] საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სახელმძღვანელო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტი, <https://justice.gov.ge/files/fJo4T5CrSiq4.pdf>.

[92] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 32-34.

[93] საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სახელმძღვანელო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტი, <https://justice.gov.ge/files/fJo4T5CrSiq4.pdf>.

[94] ოპერმანი თ., კლასენი კ. დ., ნეთესჰაიმი მ., ევროპული სამართალი, 2018, 178-187.

ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაცია ევროპის კონტინენტზე. ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანას ხელმოწერილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. 1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა.[95]

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი

ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე საზედამხედველო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო. განიხილავს საჩივრებს, შეისწავლის მონაცემთა დამუშავების კანონიერებას და კონსულტაციას უწევს ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც უკავშირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვას, მათ შორის, მოიაზრება ახალი კანონპროექტებისა და მონაცემთა დაცვის შიდა მარეგულირებელი წესების შემუშავება.[96]

ეთნიკური კუთვნილება

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი. სოციუმის კულტურული თავისებურება ქცევის განსხვავებული ხასიათისა და ენის თავისებურების გათვალისწინებით, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა სოციუმს. ეთნიკური კუთვნილების მონაცემის დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარანტიები და არსებობს ერთ-ერთი საფუძველი.[97]

ეკონომიკური ინტერესი

მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველი. მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ეს არის აუცილებელი და პროპორციული ზომა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს.[98]

ელექტრონული კომუნიკაცია

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურება, რომლის მიზანია ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების, მათ შორის, მედიაწიგნიერების განვითარების, ხელშეწყობა. ელექტრონული კომუნიკაცია მოიცავს სატელეფონო ქსელებით ან/და ინტერნეტქსელებით მიმოწერას.[99]

ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი

მომხმარებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, კომუნიკაციის წყაროს კვალის დადგენისა და იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები, კომუნიკაციის ადრესატის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები, კომუნიკაციის თარიღის, დროისა და ხანგრძლივობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები, კომუნიკაციის სახის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები, მომხმარებლის კომუნიკაციის აღჭურვილობის ან შესაძლო აღჭურვილობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები, მობილური კომუნიკაციის აღჭურვილობის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემები.[100]

ელექტრონული სისტემა

კანონით განსაზღვრული, საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კონტროლის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემა, გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა.[101]

---

[95] Council of Europe, <https://www.coe.int/en/web/portal/home>.
[96] European Data Protection Supervisor, <https://www.edps.europa.eu/_en>.
[97] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[98] მუხლი 21, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[99] „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, 02/06/2005.
[100] „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, 02/06/2005.
[101] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.

ელექტრონული ფოსტა

ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება და მონაცემთა სუბიექტის ელექტრონული იდენტობის შემადგენელი ნაწილი. ელექტრონული ფოსტა აუცილებელი მონაცემია სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა ვებგვერდებზე მომხმარებლის რეგისტრაციისთვის.

ემოციების ამოცნობის სისტემა

ხელოვნური ინტელექტის სისტემა, რომლის მიზანია ფიზიკური პირის ბიომეტრიულ მონაცემებზე დაყრდნობით მისი ემოციების ან განზრახვის იდენტიფიცირება ან მათთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანა.[102]

ექსპერტი

სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე პირი, რომელიც დახმარებას უწევს საქმის განმხილველ ორგანოს და მხარეებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში და ადგენს შესაბამის დასკვნას.[103]

[102] Article 3, §39, Regulation (EU) 2024/1689 of The European Parliament and of The Council (Artificial Intelligence Act), 13.06.2024, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32024R1689>.
[103] მუხლი 59, პუნქტი 2, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ვ

ვიდეოგამოსახულება

ფიზიკური პირის გამოსახულებათა თანმიმდევრული ჩანაწერი, რომელიც შეიძლება შეიქმნას ვიდეოთვალთვალის, ვიდეოკამერის, სმარტფონის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის დახმარებით. ფიზიკური პირის გამოსახულების, როგორც პერსონალური მონაცემის შეგროვება ყველაზე დიდი მოცულობით შენობებში, ქუჩებში, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა ადგილებში დამონტაჟებული ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებით ხდება. ვიდეოგამოსახულება გამოიყენება ფიზიკური პირის ამოსაცნობად, კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილზე მისი მდებარეობისა და მის მიერ განხორციელებული ქმედების დასადგენად.[104]

ვიდეომონიტორინგი

საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების შემცველი მონაცემთა დამუშავება, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა. ვიდეომონიტორინგის განხორციელება დასაშვებია დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვანის დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის, გამოცდის/ტესტირების მიზნებისთვის, აგრეთვე სხვა საჯარო ან/და სხვა ლეგიტიმური ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, თუ ვიდეომონიტორინგის განხორციელება მონაცემთა დამუშავების მიზნის ადეკვატური და პროპორციული საშუალებაა.[105]

ვიდეოჩაწერა

ვიდეომონიტორინგის ერთ-ერთი სახე. საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების აღბეჭდვა.[106]

ვინაობის დადასტურება

ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალება, როდესაც მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.[107]

[104] მუხლი 10, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[105] მუხლი 10, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[106] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ღ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[107] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ზეგავლენა (მონაცემთა დაცვაზე)

გავლენის ფორმა, რომელსაც ახდენს მონაცემთა ახალი ტექნოლოგიებით დამუშავება - მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, რომელსაც მაღალი ალბათობით შეუძლია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხის შექმნა.[108]

ზეგავლენის შეფასება

შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულება წინასწარ განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება:[109]

- მონაცემთა სუბიექტისთვის სამართლებრივი, ფინანსური ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილების მიღებისას სრულად ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე;
- დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისას;
- მონაცემთა სუბიექტების ქცევის სისტემატური და მასშტაბური მონიტორინგის განხორციელებისას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.[110]

ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი

ზეგავლენის შეფასების წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს: მონაცემთა კატეგორიის, მათი დამუშავების მიზნების, პროპორციულობის, პროცესისა და საფუძვლების აღწერას; ასევე, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შესაძლო საფრთხეების შეფასებას და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების აღწერას. მონაცემთა დაცვის ზეგავლენის დოკუმენტი არ ექვემდებარება გასაჯაროებას, თუ ამით შეიძლება საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს, დანაშაულის თავიდან აცილებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის აღმატებულ ლეგიტიმურ ინტერესებს.[111]

[108] მუხლი 31, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[109] მუხლი 31, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[110] მუხლი 4, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №21 „მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულების წარმომშობი გარემოებების დადგენის კრიტერიუმებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, 28/02/2024.
[111] მუხლი 12, პუნქტი პირველი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №21 „მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულების წარმომშობი გარემოებების დადგენის კრიტერიუმებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, 28/02/2024.

02

თანადამუშავება

მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების ერთობლივად, რამდენიმე პირის მიერ განსაზღვრა.[112]

თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ორი ან ორზე მეტი პირი, რომლებიც ერთობლივად განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს.[113]

თანხმობა

მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამოხატული ნება. თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ.[114]

თანხმობის გამოხმობის უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა. თანხმობის გამოხმობა შესაძლებელია იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა იქნა გაცხადებული. თანხმობის გამოხმობამდე იგი მიიჩნევა მონაცემთა დამუშავების საფუძვლად.[115] მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს. თანხმობის გამოხმობამდე, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.[116]

[112] მუხლი 3, ქვეპუნქტი „პ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[113] მუხლი 3, ქვეპუნქტი „პ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[114] მუხლი 3, ქვეპუნქტი „მ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[115] მუხლი 3, ქვეპუნქტი „მ“; მუხლი 20, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[116] მუხლი 20, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

Q

იდენტიფიცირება

მონაცემთა სუბიექტის ვინაობის დადგენა პერსონალური მონაცემის მეშვეობით. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.[117]

იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი

მონაცემთა სუბიექტი, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია პერსონალური მონაცემით.[118]

იდენტიფიცირებული ფიზიკური პირი

მონაცემთა სუბიექტი, რომლის ვინაობა დადგენილია.[119]

ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიება

საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ სადაზვერვო საქმიანობისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ კონკრეტული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ტექნიკური იდენტიფიკატორის მეშვეობით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული სატელეკომუნიკაციო შეტყობინებების მონიტორინგი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.[120]

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.[121]

ინტერნეტი

საერთაშორისო, საჯაროდ ხელმისაწვდომი ქსელი, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ ქსელში ჩართული ნებისმიერი მოწყობილობიდან მიიღონ ინფორმაცია. იგი აღნიშნავს გლობალურ კომპიუტერულ ქსელს და ქმნის გლობალურ საინფორმაციო სივრცეს.[122]

ინტერნეტის ისტორია

ინტერნეტის მომხმარებლის მიერ გამოყენებული ვებგვერდების ჩამონათვალი, რომელსაც კომპიუტერული სისტემა ინახავს. იგი მოიცავს ვებგვერდის დასახელებას, ვიზიტის დროსა და კონკრეტულ ლინკს. უფრო ფართო გაგებით, ინტერნეტის ისტორია ასახავს მომხმარებლის მიერ ინტერნეტში დატოვებულ ნებისმიერ კვალს - ძიების შედეგებს, მოწონებას, გაზიარებას, კომენტარს სოციალურ ქსელებში, მზა ჩანაწერებში შენახულ ინფორმაციას და ა.შ.[123]

ინტერნეტმომსახურება

საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტთან წვდომას და ამგვარად, გამოყენებული ქსელის ტექნოლოგიისა და ტერმინალური მოწყობილობის მიუხედავად, იძლევა ინტერნეტის ფაქტობრივად ყველა წერტილთან დაშვების შესაძლებლობას.[124]

---

[117] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[118] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[119] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[120] მუხლი 2, ქვეპუნქტი „ბ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი, 22/03/2017.
[121] მუხლი 2, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „დ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999.
[122] ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონი, <https://techdict.ge/ka/word/application/>.
[123] ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონი, <https://techdict.ge/ka/word/application/>.
[124] მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №4 „ინტერნეტმომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე“, 10/05/2018.

ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელი

საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტთან წვდომას და, ამგვარად, გამოყენებული ქსელის ტექნოლოგიის და ტერმინალური მოწყობილობის მიუხედავად, ინტერნეტის ფაქტობრივად ყველა წერტილთან დაშვების შესაძლებლობას.[125]

ინტელექტუალური საკუთრება

ადამიანის გონებრივ-შემოქმედებითი საქმიანობის პროდუქტი, რომელიც მოიცავს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს. ინტელექტუალური საკუთრება შეადგენს იმ უფლებათა ერთობლიობას, რომელიც ასეთი ინტელექტუალურ საქმიანობის შედეგად წარმოიშობა.[126]

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

სახელმწიფოსადმი დაკისრებული ერთ-ერთი პოზიტიური ვალდებულება.[127] შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს.

ინტერესთა კონფლიქტი

საქმიანობის განხორციელებისას პროფესიული შეუთავსებლობა.

ინტერნეტპროტოკოლის (IP) მისამართი

ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლის მიერ ინტერნეტში ჩართული მოწყობილობისთვის მინიჭებული უნიკალური მონაცემი, რომელიც გამოისახება წერტილებით გამოყოფილი ციფრებით. განასხვავებენ სტატიკურ IP მისამართს, რომელიც მუდმივია კონკრეტული მომხმარებლისადმი და დინამიურ მისამართს, რაც გულისხმობს, რომ ინტერნეტის მიმწოდებელი დაკავშირების ყოველ შემთხვევაში განსხვავებულ მონაცემს ანიჭებს მომხმარებელს. მისთვის შესაძლებელია კონკრეტული ინდივიდის იდენტიფიცირება აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე.[128]

ინფორმაციის მიღების უფლება

მონაცემთა სუბიექტის უფლება, მოსთხოვოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.[129]

ინფორმირება (თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ სუბიექტისგან არ ხდება)

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულება მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია, აგრეთვე აცნობოს, მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება და ამ მონაცემთა მოპოვების წყარო, მათ შორის, მოპოვებულ იქნა თუ არა მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან. აღნიშნული ინფორმაცია დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს გონივრულ ვადაში, ან, თუ მონაცემები გამოიყენება მონაცემთა სუბიექტთან დასაკავშირებლად, მასთან პირველი კომუნიკაციისთანავე, ხოლო თუ დაგეგმილია მონაცემთა გამჟღავნება, - მონაცემთა გამჟღავნებამდე, მაგრამ მონაცემთა მოპოვებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუკი არ არსებობს უფლების შეზღუდვის საფუძვლები.[130]

ინფორმირება (მონაცემთა უშუალოდ სუბიექტისგან შეგროვების შემთხვევაში)

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულება, მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;
- მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;
- მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობის შესახებ, ხოლო თუ მონაცემთა მიწოდება სავალდებულოა - მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეგროვება/მოპოვება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასადებად (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);

---

[125] მუხლი 3, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №4 „ინტერნეტმომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე“, 10/05/2018.

[126] მუხლი პირველი, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, 22/06/1999.

[127] მუხლი 20, საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.

[128] European Data Protection Supervisor (EDPS), Comments on Selected Issues that Arise from the IMCO Report on the Review of Directive 2002/22/EC (Universal Service) & DIRECTIVE 2002/58/EC (ePrivacy), §§ 6-7, <https://www.edps.europa.eu/sites/default/files/publication/08-09-02_comments_eprivacy_en.pdf>.

[129] მუხლი 13, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

[130] მუხლი 25, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, თუ მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
- მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, მათ შორის, მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი გეგმავს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემას;
- მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
- მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ.[131]

ინფორმაციული უსაფრთხოება

საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას.[132] კომპლექსური ტექნიკური სფერო, რომელიც მუდმივად ვითარდება. ინფორმაციული უსაფრთხოების კონტექსტში გასათვალისწინებელია: საინფორმაციო ტექნოლოგიური ქსელებისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება; სისტემაში შენახული მონაცემების უსაფრთხოება, მაგალითად, წვდომის კონტროლით; ონლაინ უსაფრთხოება, რაც გულისხმობს გამოყენებული ვებგვერდებისა და სხვა ონლაინ სერვისების/აპლიკაციების უსაფრთხოებას; მოწყობილობის უსაფრთხოება და სხვა.

ინფორმაციის აღრიცხვა

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვალდებულება წერილობით ან ელექტრონულად უზრუნველყონ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაციის აღრიცხვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.[133]

ინციდენტი

მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.[134]

ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულება, როდესაც ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ინციდენტის აღმოჩენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აცნობოს მონაცემთა სუბიექტს ინციდენტის შესახებ და მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.[135]

ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულება აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.[136]

იურიდიული პირი

განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. იგი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.[137]

---

[131] მუხლი 24, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[132] მუხლი 2, ქვეპუნქტი „ა“, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 05/06/2012.
[133] მუხლი 28, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[134] მუხლი 29, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[135] მუხლი 29, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[136] მუხლი 29, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[137] მუხლი 24, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.

ბ

კ

კანონი

სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული აქტი.[138] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2011 წელს. 2023 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ამოქმედდა 2024 წლის პირველი მარტიდან, ხოლო მისი ცალკეული დებულებები (მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) – 2024 წლის პირველი ივნისიდან. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების, დაცვა.[139]

კანონის მოქმედება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავებასა და ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე, იმ მონაცემთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შესატანად მუშავდება, აგრეთვე საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა საქართველოში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტექნიკური საშუალებები მხოლოდ მონაცემთა ტრანზიტისთვის გამოიყენება.[140] კანონი ასევე ადგენს კანონის მოქმედების სფეროდან გამონაკლის შემთხვევებს.[141]

კანონიერების პრინციპი

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს დამუშავების შესაბამისი საფუძველი და დაცულია კანონით განსაზღვრული მოთხოვნები.[142]

კანონიერების შესწავლა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერების შესწავლა სამართალდარღვევათა პრევენციის, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ, მონაცემთა დამუშავებისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულების კონტროლის; ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონულ სისტემებში განხორციელებული აქტივობების კონტროლისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოებების დადგენის მიზნით.[143]

კანონიერების შესწავლის სახეები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილება მონაცემთა დამუშავების კანონიერება შეისწავლოს გეგმური, არაგეგმური შემოწმებით (ინსპექტირებით), ასევე, მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე.[144]

კიბერუსაფრთხოება

ინფორმაციული უსაფრთხოება, კომპლექსური ტექნიკური სფერო, რომელიც მუდმივად ვითარდება და უზრუნველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა ემსახურება ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფას და უნდა შეესაბამებოდეს მისი დაცვის სფეროში დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს.[145]

---

[138] მუხლი 2, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 22/10/2009.
[139] მუხლი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[140] მუხლი 2, პუნქტი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[141] მუხლი 2, პუნქტი 2, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[142] მუხლი 4, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 4-11.
[143] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.
[144] მუხლი 49, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.
[145] მუხლი 2, ქვეპუნქტი „ბ“, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 05/06/2012.

კიბერსივრცე

სივრცე, რომლის განმასხვავებელი ნიშანია ელექტრონული მოწყობილობებისა და ელექტრომაგნიტური სპექტრის გამოყენება ქსელით დაკავშირებული სისტემებისა და დამხმარეფიზიკური ინფრასტრუქტურის მეშვეობით მონაცემთა შენახვისათვის, შეცვლისათვის ან გაცვლისათვის.[146]

კოდექსი

განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი.[147]

კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე, კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული, ნახევრად სტაციონარული ან არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით.[148]

კონსტიტუცია

სახელმწიფოს უზენაესი კანონი, რომელსაც აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.[149]

კონტროლის ელექტრონული სისტემა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სისტემა, რომელიც აერთიანებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1431 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კონტროლის ელექტრონული სისტემის ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებებს.[150]

კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სისტემა. ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორის აქტივაციის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მიერ ინიციირებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას, მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის მიერ აღსრულებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების ზედამხედველი მოსამართლისთვის ავტომატურად მიწოდებას, ამ მონაცემების კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას, მიღებული შედეგების ავტომატურ შედარებას და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე განხორციელებული ქმედების ლოგირების მონაცემების პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის გაგზავნას.[151]

კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“

ევროპის საბჭოს მიერ 1981 წელს მიღებული კონვენცია, რომელიც ვრცელდება ყველა სახის მონაცემთა დამუშავებაზე - როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის, მათ შორის, მართლმსაჯულებისა და სამართალდამცველი ორგანოების მიერ. კონვენცია იცავს ადამიანის უფლებებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული დარღვევებისგან და მიზნად ისახავს მათი საერთაშორისო გადაცემის რეგულირებას. უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების გარანტიებისა და უსაფრთხოების ვალდებულებებს, კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას დაცვის სათანადო სამართლებრივი მექანიზმის გარეშე. კონვენციას შესასრულებლად სავალდებულო ძალა აქვს იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებშიც ის რატიფიცირებულია.[152] საქართველოს მიერ კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება განხორციელდა 2006 წელს.

---

[146] მუხლი 2, ქვეპუნქტი „გ“, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 05/06/2012.
[147] მუხლი 2, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 22/10/2009.
[148] მუხლი 2, ქვეპუნქტი „დ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი, 22/03/2017.
[149] მუხლი 10, პუნქტი პირველი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 22/10/2009.
[150] მუხლი 2, ქვეპუნქტი „ი“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი, 22/03/2017.
[151] მუხლი 2, ქვეპუნქტი „კ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი, 22/03/2017.
[152] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 29-32.

კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებული კონვენცია, რომელიც საერთაშორისო დონეზე ბავშვის უფლებების შესახებ პირველი აქტია. კონვენცია აყალიბებს ბავშვთა კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტებს მათი განვითარების თითოეული ეტაპისთვის.[153] საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიცირება განხორციელდა 1994 წელს.

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება

მონაცემთა დამუშავების პროცესში ან მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის თანამშრომლის ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.[154]

კომერციული საიდუმლოება

ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.[155]

კულტურული მახასიათებელი

პიროვნული თვითმყოფადობის მონაცემი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.[156]

[153] კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“, 1989.
[154] მუხლი 27, პუნქტი 5, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 30-31.
[155] მუხლი 272, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.
[156] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.



ლეგიტიმური მიზანი

მიზნის შეზღუდვის პრინციპით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტი.157 იმისათვის, რომ დამუშავების მიზანი იყოს ლეგიტიმური, მონაცემთა დამუშავება ყველა ეტაპზე და ნებისმიერ დროს უნდა ეფუძნებოდეს მინიმუმ ერთ სამართლებრივ საფუძველს. მისი შინაარსი დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, ვინაიდან მთავარი ამოცანაა, თითოეულ შემთხვევაში, უფლებებისა და ინტერესების დაბალანსება.[158]

ლიტერატურული მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

ლიტერატურული საქმიანობის ან მიზნის ფარგლებში მონაცემთა დამუშავების პროცესი, რომელზეც არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.[159]

ლოგირება

ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ, მონაცემთა შეგროვების, შეცვლის, მათზე წვდომის, მათი გამჟღავნების (გადაცემის), დაკავშირებისა და წაშლის თაობაზე ინფორმაციის) აღრიცხვა.[160]

[157] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 11-18.
[158] მუხლი 4, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[159] მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ვ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[160] მუხლი 27, პუნქტი 4, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიოპროგრამები, ვიდეო და კინოდოკუმენტალისტიკა, ბიულეტენები, დიდი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნები და სხვა პერიოდული ან ერთჯერადი გამოცემები, თუ ისინი განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისათვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოდგენილია აგრეთვე გამომცემლობებით, პერიოდული პრესის, ტელე და რადიომაუწყებლობის რედაქციებით, საინფორმაციო სააგენტოებით და სხვა დაწესებულებებით, რომლებიც აწარმოებენ და ავრცელებენ მასობრივ ინფორმაციას.[161]

მესამე პირი

ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა, სპეციალური წარმომადგენლისა და იმ პირისა, რომელიც უფლებამოსილია დაამუშაოს მონაცემები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირი დავალებით.[162]

მზა-ჩანაწერი

მცირე ტექსტური ფაილი, რომელიც მომხმარებლის მიერ ვებგვერდით სარგებლობისას ჩამოიტვირთება მის მოწყობილობაზე (მაგალითად, კომპიუტერზე ან მობილურ ტელეფონზე). იგი ვებგვერდს შესაძლებლობას აძლევს ამოიცნოს მომხმარებლის მოწყობილობა და შეინახოს მის შესახებ ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, მისი წარსული აქტივობა.[163]

მისამართი

პერსონალური მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს ფიზიკური პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი ან იურიდიული ადგილსამყოფელი.

მინიმიზაციის პრინციპი

მონაცემთა დამუშავების პრინციპი, რომლის თანახმად მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[164]

მინიმიზაციის პრინციპი მოიცავს შემდეგ სამ კრიტერიუმს, რა მიზნითაც დამუშავებული მონაცემის მოცულობა უნდა იყოს:

- ადეკვატური: საკმარისი დასახელებული მიზნის სათანადოდ მიღწევისთვის. პერსონალური მონაცემები „ადეკვატურია“, თუ ასეთი მონაცემების კონკრეტული მიზნისთვის გამოყენება მიზანშეწონილია (მაგალითად, პირის საცხოვრებელი მისამართი არ არის მისი საკრედიტო შესაძლებლობების შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია);
- შესაბამისი: აქვს გონივრული კავშირი დასახულ მიზანთან. პერსონალური მონაცემები „შესაბამისია“, თუ ის იწვევს განსხვავებულ შედეგს მიზანთან დაკავშირებით (მაგალითად, მომხმარებლის მისამართი პროდუქტის მიწოდებისთვის შესაბამის ინფორმაციას წარმოადგენს);
- შემოფარგლული მხოლოდ იმით, რაც აუცილებელია: არ უნდა დამუშავდეს უფრო მეტი მონაცემი, ვიდრე მიზნის მიღწევისთვის არის საჭირო. ეს კომპონენტი გულისხმობს, რომ მიზნის მიღწევა გონივრულად შეუძლებელია კონკრეტული პერსონალური მონაცემების დამუშავების გარეშე. აუცილებლობის კრიტერიუმი ასევე მოითხოვს, რომ პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადა შეიზღუდოს მკაცრი მინიმუმით.[165]

პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამუშავების მიზნის მიღწევა, გონივრულობის ფარგლებში, შეუძლებელია სხვა საშუალებებით. ამასთანავე, მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი მჭიდრო კავშირშია მიზნის შეზღუდვის პრინციპთან და მისი დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხისმგებელი პირის მიერ კონკრეტული მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული. პასუხისმგებელმა პირმა, მიზნის მიღწევის აუცილებლობის დასადგენად, უნდა გადახედოს დამუშავების ოპერაციის თითოეულ საფეხურს და მონაცემთა თითოეულ ელემენტს.[166]

161 მუხლი 2, „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, 10/08/1991.
162 მუხლი 3, ქვეპუნქტი „ტ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
163 Information Commissioner's Office (ICO), Cookies and Similar Technologies, <ico.org.uk>.
164 მუხლი 4, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „გ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
165 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 19.
166 მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 143-144.

პასუხისმგებელმა პირებმა უნდა განსაზღვრონ, სჭირდებათ თუ არა მათ პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაბამისი მიზნების მიღწევისთვის, უნდა გადაამოწმონ, შესაძლებელია თუ არა ნაკლები მოცულობის პერსონალური მონაცემების დამუშავებით, ნაკლებად დეტალური ან გაერთიანებული პერსონალური მონაცემებით ან საერთოდ პერსონალური მონაცემების დამუშავების გარეშე შესაბამისი მიზნების მიღწევა. ამგვარი შემოწმება უნდა განხორციელდეს ნებისმიერი დამუშავების დაწყებამდე, თუმცა მისი ჩატარება ასევე შესაძლებელია დამუშავების ციკლის ნებისმიერ მომენტში.[167]

მონაცემთა ავტომატური ჩამოტვირთვა

მონაცემთა შეგროვების თანამედროვე ციფრული მეთოდი,[168] „ვებსკრეიპინგი“ ან „მონაცემთა სკრეიპინგი“ (“Data Scraping”), რომელიც გულისხმობს ინტერნეტში ხელმისაწვდომი მონაცემების ჩამოტვირთვას და ელექტრონულ ფორმატში შენახვას/შეგროვებას,[169] მათი შემდგომი დამუშავების მიზნით.

მონაცემთა გაცნობის უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ასლების გაცემისთვის: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს მონაცემებს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არის დადგენილი. ეს ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს მონაცემებს იმ ფორმით, რომლითაც დაცულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან.[170]

მონაცემთა დამუშავება მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად

მონაცემთა დამუშავების პრინციპი, რომლის მიზანია ადამიანების ღირსების საზიანოდ მონაცემთა დამუშავების თავიდან არიდება.[171] მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად მონაცემთა დამუშავების საკითხზე მითითებას არ შეიცავს ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორიცაა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ და „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ მოდერნიზებული კონვენციის ანალოგიური დებულებები. მიუხედავად ამისა, მონაცემთა დაცვის ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკის მიხედვით, მონაცემთა დაცვის უფლების კონტექსტში ადამიანის ღირსებას ენიჭება უპირატესი ძალა, ქვეყნის კონსტიტუციის, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და სამოქალაქო სამართლის დებულებების ანალიზის საფუძველზე.

მონაცემთა დაშიფვრა

პროცესი, რომელიც გულისხმობს არაავტორიზებული წვდომის პრევენციის მიზნით ინფორმაციის კოდად გარდასახვას. აღნიშნული ინფორმაციის თავდაპირველი ფორმით წაკითხვა მხოლოდ სათანადო „გასაღების“ მეშვეობითაა შესაძლებელი. დაშიფვრა უზრუნველყოფს მონაცემების კონფიდენციალურობას, ამასთან, მსგავსი ფორმით არსებული ინფორმაცია კვლავ პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს.[172]

მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭო

ევროკავშირის ორგანო, რომელიც შეიქმნა „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) 68-ე მუხლის საფუძველზე და 2018 წლის 25 მაისიდან წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და აღნიშნულ მონაცემთა თავისუფლად მოძრაობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირების უფლებების დაცვის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის №95/46/EC დირექტივის 29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფის სამართალმემკვიდრეს. საბჭო შედგება ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსა და „ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის“ (“EDPS”) წარმომადგენლებისაგან. აგრეთვე, მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ევროკომისია, რა მიზნითაც იგი უფლებამოსილია, განსაზღვროს წარმომადგენელი. საბჭო არსებით როლს ასრულებს ევროკავშირის მასშტაბით პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციების ეფექტიან დაცვასა და მონაცემთა დაცვის საზედამხედველო

[167] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024.
[168] European Data Protection Supervisor (EDPS), Opinion 41/2023 on the Proposal for a Regulation on European Union labour market statistics on businesses, 3.4, 25/09/2023, <https://www.edps.europa.eu/system/files/2023-09/2023-0799_opinion_en.pdf>.
[169] Information Commissioner's Office (ICO), Joint Statement on Data Scraping and the Protection of Privacy.
[170] მუხლი 14, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[171] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024.
[172] European Data Protection Board (EDPB), Secure personal data, Encrypt data, <https://www.edpb.europa.eu/sme-data-protection-guide/secure-personal-data_en>.

ორგანოთა თანმიმდევრული, საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში; კერძოდ, იღებს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებებს, აქვეყნებს მოსაზრებებს, კონსულტაციებს უწევს ევროკომისიას ევროკავშირში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ნებისმიერ საკითხზე, აგრეთვე, შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს.[173]

მონაცემთა დაცვის უფლება

ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომელიც გულისხმობს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში. მონაცემთა დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური, მისი შეზღუდვა ნებადართულია საჯარო ინტერესის საფუძველზე, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ევროკავშირის კანონმდებლობით მონაცემთა დაცვა აღიარებულია დამოუკიდებელ ფუნდამენტურ უფლებად.[174] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლების დარღვევის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.[175]

მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნები

ქვეყნები, რომლებშიც უზრუნველყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო დონე. სხვა სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობას აფასებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის, მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიების, მონაცემთა შემდგომი საერთაშორისო გადაცემის წესების, მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს არსებობის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის ანალიზის საფუძველზე.[176]

მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია (ევროკავშირის)

ციფრულ ეპოქაში მონაცემთა დაცვის წესების ადაპტირების მიზნით, 2016 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული რეგულაცია. „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ ძალაში შევიდა 2018 წლის მაისში, რომლითაც გაუქმდა მონაცემთა დაცვის დირექტივა. მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია ქმნის ევროკავშირის მასშტაბით მონაცემთა დაცვის ერთიან წესებს. რეგულაცია განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვასთან და მონაცემთა თავისუფალ მიმოცვლასთან დაკავშირებულ წესებს.[177]

მონაცემთა დაცვის შესაბამისობის გადაწყვეტილება

ევროკომისიის შეფასება მესამე ქვეყანაში ან მის რომელიმე ტერიტორიაზე ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების უზრუნველყოფის თაობაზე, რა შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება მესამე სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა.[178]

მონაცემთა მეტად დაფარვის პრიორიტეტი, როგორც ალტერნატიული მიდგომის არჩევამდე ავტომატურად გამოყენებული საწყისი მეთოდი ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნისას ახალი ტექნოლოგიების, განხორციელების ხარჯების, დამუშავების ხასიათის, მასშტაბის, კონტექსტისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მოსალოდნელი რისკებისა და მონაცემთა დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულება როგორც დამუშავების საშუალებების განსაზღვრის, ისე უშუალოდ დამუშავების პროცესში მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები (მათ შორის, ფსევდონიმიზაცია ან/და სხვა). აღნიშნული ზომების მიღება უნდა უზრუნველყოფდეს მონაცემთა დამუშავების პრინციპების ეფექტიან იმპლემენტაციას და მონაცემთა დამუშავების პროცესში დაცვის მექანიზმების ინტეგრირებას მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად.[179] მსგავსად ეროვნული მოწესრიგებისა, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ აწესებს ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინებისა (“Privacy by Design”) და პირველად პარამეტრად მონაცემთა დაცვის (“Privacy by Default”) ვალდებულებას.[180]

---

[173] European Data Protection Board, <https://www.edpb.europa.eu/edpb_en>.
[174] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 20-21.
[175] მუხლი 22, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[176] მუხლი 38, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №23 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“, 29/02/2024.
[177] მუხლი პირველი, პუნქტი პირველი, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).
[178] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 289-290.
[179] მუხლი 26, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[180] მუხლი 25, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016.

მონაცემთა მიმღები

ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება, რომელსაც მონაცემები გადაეცა, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა.[181] ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის" მიხედვით, გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საჯარო უწყებას, დაწესებულებას ან სხვა უწყებას, რომელსაც გადაეცემა პერსონალური მონაცემები მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის მესამე მხარეს. თუმცა, მიმღებად არ მიიჩნევიან საჯარო უწყებები, რომელთაც შეიძლება მიიღონ პერსონალური მონაცემები კონკრეტული მოკვლევის ფარგლებში ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის შესაბამისად. ამ მონაცემების ამ საჯარო უწყებების მიერ დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა დაცვის შესაბამის წესებს დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე.

საპოლიციო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ დირექტივის მიხედვით, „მონაცემთა მიმღები" ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საჯარო უწყებას, სააგენტოს ან სხვა ორგანოს, რომელსაც გადაეცემა პერსონალური მონაცემები, მიუხედავად იმისა მესამე პირია თუ არა, თუმცა, საჯარო უწყებები, რომლებმაც შესაძლოა მიიღონ პერსონალური მონაცემები კონკრეტული გამოძიების მიმდინარეობის ფარგლებში წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ ჩაითვლებიან მიმღებად; ამ საჯარო უწყებების მიერ მონაცემთა დამუშავება უნდა შეესატყვისებოდეს მონაცემთა დაცვის შესაბამის წესებს მათი დამუშავების მიზნების შესაბამისად.

მონაცემთა მიმღების კატეგორია

მონაცემთა მიმღების კლასიფიკაცია/დაჯგუფება საქმიანობის სფეროს ან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით.[182]

მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა

მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა, რომელიც დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სათანადო გარანტიები.[183]

მონაცემთა სიზუსტე

მონაცემთა დამუშავების პრინციპი, რომლის თანახმად, მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.[184]

„არაზუსტი" მონაცემი განიმარტება, როგორც არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ნებისმიერი სახის ფაქტი. ნამდვილობისა და სიზუსტის პრინციპი გულისხმობს ობიექტურობის კრიტერიუმის დაცვას; ასევე, იგი ვრცელდება პროგნოზებსა და ვარაუდებზეც, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ავტომატური პროფაილინგის თანამედროვე ფორმების, ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით მონაცემთა დამუშავებისა თუ სხვა თანამედროვე სისტემებისთვის. პროგნოზები შესაძლებელია ობიექტურად არაზუსტი იყოს, თუ ისინი ეფუძნება მცდარ ფაქტებს, არასწორ დასკვნებს ან მეთოდოლოგიებს. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირები სიზუსტის პრინციპს გვერდს ვერ აუვლიან.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგნოზებისა და ვარაუდებისგან განსხვავებით, ღირებულებითი შეფასებები „არაზუსტი" არ შეიძლება იყოს, რადგან ისინი თავისი ბუნებით არ არის ობიექტურად სწორი. გასათვალისწინებელია, ნამდვილობისა და სიზუსტის პრინციპის დაცვის მიზნისთვის პასუხისმგებელმა პირმა, კონტექსტიდან გამომდინარე, ფაქტებზე დაფუძნებული მონაცემები უნდა განასხვაოს იმ მონაცემებისგან, რომლებიც პირად შეფასებას ეფუძნება. პირად შეფასებაზე დაფუძნებულ მონაცემებთან მიმართებით სიზუსტის პრინციპის ზედმიწევნით დაცვა სავალდებულო არ არის.

სიზუსტის პრინციპი ასევე გულისხმობს დამუშავებული მონაცემის პერიოდულ განახლებას, რამდენადაც მოძველებული პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დროთა განმავლობაში გახდეს არაზუსტი.[185]
მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნების შეფასება მონაცემთა კონკრეტული დამუშავების რისკებთან და შედეგებთან მიმართებით უნდა განხორციელდეს. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.[186]

[181] მუხლი 3, ქვეპუნქტი „რ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[182] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ს", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[183] მუხლი 37, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[184] მუხლი 4, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „დ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[185] რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024.
[186] მუხლი 16, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.

მონაცემთა სუბიექტი

ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ პერსონალური მონაცემიც მუშავდება.[187]

მონაცემთა სუბიექტთა დიდი რაოდენობა

საქართველოს მოსახლეობის არაუმეტეს 3%, რომელიც გამოითვლება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბოლო შედეგების მიხედვით.[188]

მონაცემთა სუბიექტის უფლებები

ფიზიკური პირისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებები:

- მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;[189]
- მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;[190]
- მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება;[191]
- მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;[192]
- მონაცემთა დაბლოკვის უფლება;[193]
- მონაცემთა გადატანის (პორტირების) უფლება;[194]
- ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებები;[195]
- თანხმობის გამოხმობის უფლება;[196]
- გასაჩივრების უფლება.[197]

მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების, დაცვა.[198] კანონი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისადმი მიმართვის გზით.[199]

მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელება, მათ შორის, მიიღოს ყველა ზომა ამავე კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დემონსტრირების მიზნით. აღნიშნული ვალდებულებები ვრცელდება აგრეთვე დამუშავებაზე უფლებამოსილ პირზე მასთან დაცულ/არსებულ ინფორმაციასთან მიმართებით.[200]

მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის შემთხვევა, როცა აღნიშნული პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, არის აუცილებელი და პროპორციული ზომა დემოკრატიულ საზოგადოებაში და თუკი მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას: სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს და ა.შ.[201]

მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიღებული ღონისძიებები

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულება, მიიღოს იმგვარი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან. აღნიშნული გულისხმობს მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანმდევი საფრთხეების შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებას (მათ შორის, მონაცემთა ფსევდონიმიზაცია, მონაცემებზე წვდომის აღრიცხვა, ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმები

[187] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ლ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[188] მუხლი 31, პუნქტი 7, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[189] მუხლი 13, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[190] მუხლი 14, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[191] მუხლი 15, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[192] მუხლი 16, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[193] მუხლი 17, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[194] მუხლი 18,„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[195] მუხლი 19, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[196] მუხლი 20, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[197] მუხლი 22, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[198] მუხლი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[199] მუხლი 22, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[200] მუხლი 23, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.

(კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა) და სხვა). ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღებისას მხედველობაში მიიღება მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, მონაცემთა დამუშავების მიზანი, ფორმა, საშუალებები და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები.[202]

მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეტყობინება

საზედამხედველო ორგანოსთვის მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტის) შესახებ ინფორმირება.[203] თუ დაირღვა მონაცემთა უსაფრთხოება, ორგანიზაციამ დარღვევის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა უნდა შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა საზედამხედველო ორგანოს. ასევე, დარღვევის შესახებ უნდა შეატყობინოს იმ პირებს, ვის მონაცემებსაც შეეხო ინციდენტი, თუ ეს დიდი ალბათობით გამოიწვევს ამ პირთა უფლების შელახვას.

საზედამხედველო ორგანოსათვის შეტყობინება უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგს: მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ხასიათი მათ შორის, თუ შესაძლებელია, იმ პირთა რაოდენობა, ვისი მონაცემებიც არაკანონიერად გამჟღავნდა, დაიკარგა, განადგურდა და ა.შ.; აგრეთვე იმ მონაცემთა რაოდენობა და კატეგორიები, რომლებსაც შეეხო ინციდენტი; მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის სავარაუდო შედეგები; ორგანიზაციის მიერ მიღებული ან დაგეგმილი ღონისძიებები სავარაუდო ზიანის შესამცირებლად; ინციდენტის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად საკონტაქტო პირის მონაცემები. ორგანიზაციამ უნდა აღრიცხოს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ყველა შემთხვევა, შედეგები და გატარებული ზომები. უნდა შეიმუშაოს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობინების პოლიტიკა, ინციდენტების გამოვლენისა და მათზე რეაგირების გეგმა. მიზანშეწონილია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც არაავტორიზებული წვდომის შემთხვევაში შეამცირებს მონაცემების მეშვეობით პირის იდენტიფიცირების რისკს.

მონაცემთა შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავება

თავდაპირველი მიზნისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავება, თუ მონაცემები უნდა დამუშავდეს მათი შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით და დამუშავება მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან კანონის საფუძველზე არ ხორციელდება, მონაცემთა შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავების საკითხის გადაწყვეტისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს:

- არსებობს თუ არა მონაცემთა შეგროვების/მოპოვების თავდაპირველ მიზანსა და შემდგომ მიზანს შორის კავშირი;
- მონაცემთა შეგროვებისას/მოპოვებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათი;
- აქვს თუ არა მონაცემთა სუბიექტს მის შესახებ მონაცემთა შემდგომი დამუშავების გონივრული მოლოდინი;
- ხორციელდება თუ არა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება;
- მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგები, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს მონაცემთა შემდგომ დამუშავებას;
- მონაცემთა ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების არსებობა.[204]

მონაცემთა შენახვის ვადის განსაზღვრა

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპი, რომლის თანახმად, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად.[205]

მონაცემთა შენახვის ვადის შეზღუდვის პრინციპი გულისხმობს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვალდებულებას, წინასწარ აცნობოს მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა შენახვის პერიოდის შესახებ. ასევე, მას აკისრია პრინციპთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთი, ამდენად, მან უნდა უზრუნველყოს პრინციპთან შესაბამისობის დემონსტრირება. შესაბამისად, შენახვის ვადები უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის შიგნით, მონაცემთა დამუშავების დაწყებამდე.[206]

---

[201] მუხლი 21, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[202] მუხლი 4, ქვეპუნქტი „ვ“ და მუხლი 27, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[203] მუხლები 33-34, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).
[204] მუხლი 4, პუნქტი 2, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[205] მუხლი 4, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „ე“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[206] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 25-26.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში შენახვის ვადის შეზღუდვა მნიშვნელოვანია, ვინაიდან, როდესაც მონაცემები ინახება გადაჭარბებული ვადებით, იგი ხდება არასაჭირო, შესაბამისად, აღარ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი. უფრო პრაქტიკული თვალსაზრისით კი, პერსონალურ მონაცემთა შენახვა იმაზე მეტი ვადით, ვიდრე აუცილებელია, საჭიროებს შენახვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზედმეტ ხარჯებს.[207]
პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს მონაცემთა დამუშავების გაცხადებული მიზნები. მონაცემთა შენახვა დასაშვებია, ვიდრე ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად მაინც არის იგი საჭირო. ამასთანავე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა განსაზღვროს სჭირდება თუ არა სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ (მაგალითად, მონაცემთა სუბიექტისთვის მომსახურების მიწოდება) ჩანაწერების შენახვა მას შემდეგ, რაც სამართლებრივი ურთიერთობა დასრულდება.[208]
საგულისხმოა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს მონაცემთა შენახვასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები.

ამასთანავე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მხედველობაში უნდა მიიღოს მისი საქმიანობის სფეროს შესაბამისი სტანდარტები და ინსტრუქციები. თუმცა, აღნიშნული თავისთავად არ ადასტურებს, რომ დაცულია შენახვის ვადის შეზღუდვის პრინციპი, შესაბამისად, მას მოუწევს მათი მიზანშეწონილობის დასაბუთება.

შენახვის ვადების განსაზღვრისას, მიზანშეწონილია პროპორციული მიდგომა, რათა დაბალანსდეს შენახვის საჭიროების, ინტერესისა და ვადების გავლენა მონაცემთა სუბიექტის პირად ცხოვრებასა და მის საუკეთესო ინტერესზე.[209]

მოწმე

ნებისმიერი პირი (გარდა მხარისა), რომელმაც შეიძლება იცოდეს მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის ფარგლებში დასადგენ გარემოებებთან დაკავშირებული ინფორმაცია.[210]

მსჯავრდებული

პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.[211]

მტკიცების ტვირთი

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მოვალეობა მტკიცებულებათა მეშვეობით ამტკიცოს ფაქტობრივ გარემოებათა ნამდვილობა.

მტკიცებულება

მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვის ფარგლებში ან/და შემოწმების (ინსპექტირების) შედეგად მოპოვებული ინფორმაცია: მონაცემთა სუბიექტის, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის, სპეციალური წარმომადგენლის და მოწმის ახსნა-განმარტებები; სამართალდამრღვევის აღიარება; ზეპირი სხდომის ოქმი (ჩანაწერი); ექსპერტის დასკვნა; ფაქტების კონსტატაციის მასალები; აუდიოჩანაწერი; ვიდეოჩანაწერი; ფოტო; საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია და დოკუმენტი; უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ მომზადებული/გამოცემული/დამოწმებული დოკუმენტი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ან სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების (ინსპექტირების) ოქმი; ნივთიერი მტკიცებულება; ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, დოკუმენტი ან მასალა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმეზე ობიექტური გარემოებების დასადგენად.[212]

მხარე

განმცხადებელი, დაინტერესებული პირი (თუ იგი მონაცემთა სუბიექტია), დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, სპეციალური წარმომადგენელი.[213]

[207] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 25-26.
[208] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 49-50.
[209] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 25-26.
[210] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.
[211] მუხლი 3, ნაწილი 8, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
[212] მუხლი 59, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.
[213] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.

ნ

ნამდვილობა (მონაცემების)

მონაცემთა დამუშავების სიზუსტის პრინციპით განსაზღვრული სტანდარტი, რომლის თანახმად, დამუშავებული მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.[214]

ნასამართლობა

პირის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, რომელიც მიანიშნებს დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე.[215]

ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავება

მონაცემთა დამუშავება ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით.[216]

ნეირომონაცემები

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემი ნერვული სისტემის აქტივობის, ფუნქციონირებისა და სტრუქტურის შესახებ, რომელიც მოიცავს ნეირონული სტრუქტურის, აქტივობების ან/და ფუნქციონირების პირდაპირ შეფასებას (მაგ., ელექტროენცეფალოგრამის ("EEG") ბიოელექტრული სიგნალებით), ასევე მის არაპირდაპირ ფუნქციონალურ მაჩვენებლებს (მაგ., სისხლის მიმოქცევა ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახულებაში ("fMRI")).[217] ტვინის შესახებ მონაცემები უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს და მოიცავს ინფორმაციას მისი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის შესახებ.[218]

ნეიროტექნოლოგია

მოწყობილობა, რომელიც აფასებს თავის ტვინის სტრუქტურას, მის აქტივობას ან/და ახდენს ურთიერთქმედებას ამ უკანასკნელზე (მაგ., ელექტრული სტიმულაციის მეშვეობით).[219] ფართო გაგებით, ნებისმიერი მოწყობილობა და პროცედურა, რომელიც გამოიყენება ფიზიკური პირის ნერვული სისტემის სტრუქტურასა და ფუნქციაზე წვდომისთვის, მის გამოსაკვლევად, შესაფასებლად, მისი მართვისა და იმიტირებისათვის.[220]

ნეიროუფლებები

ნეიროტექნოლოგიების გამოყენებიდან მომდინარე საფრთხეებზე მორგებული ადამიანის უფლებების თანამედროვე კონცეფცია, რომელიც ინიცირებულია მეცნიერულ დონეზე და არსებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სრულყოფას ისახავს მიზნად. იგი მოიცავს შემეცნებით თავისუფლებას, მენტალურ კონფიდენციალობას, ფსიქოლოგიურ უწყვეტობასა და მენტალურ მთლიანობას.[221]

ნივთების ინტერნეტი ("IoT")

ფიზიკური ობიექტების („ნივთების") ქსელი, რომელსაც შეუძლია ინტერნეტის მასშტაბით დაუკავშირდეს და გაუზიაროს ინფორმაცია სხვა მოწყობილობებსა და სისტემებს. აღნიშნულ „ნივთებს" შეუძლიათ შეიგრძნონ, პასუხი გასცენ ან სხვაგვარი ურთიერთქმედება მოახდინონ გარე პირობებთან, ტექნოლოგიების ფართო სპექტრის (მაგალითად, ბიომეტრიული სენსორები, ხელოვნური ინტელექტი) მეშვეობით. "IoT"-ის პროდუქტები ხშირად ამუშავებს დიდი რაოდენობით პერსონალურ მონაცემებს იმ პირების შესახებ, რომლებიც სარგებლობენ ქსელში ჩართული მოწყობილობებით.[222]

ნორმატიული აქტი

უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. [223]

---

[214] მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 21-23.

[215] მუხლი 79, ნაწილი პირველი, სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999.

[216] მუხლი 3, „ი" ქვეპუნქტი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.

[217] UNESCO, SHS/BIO/AHEG-NEURO/2024/2, First Draft of the Recommendation on the Ethics of Neurotechnology, §15, 2024, < https://Unesdoc.Unesco.Org/Ark:/48223/Pf0000391444>.

[218] The International Bioethics Committee of Unesco (IBC), Report Of The Ethical Issues of Neurotechnology, 15 December 2021, 15 December 2021, <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000378724>.

[219] UNESCO, State University of New York, Downstate Health Sciences University, University of Milan-Bicocca (Italy), The Risks and Challenges of Neurotechnologies for Human Rights, 40, 2023, <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000384185_eng>.

[220] Organisation for Economic Cooperation and Development (OECD), Recommendation of the Council on Responsible Innovation in Neurotechnology, II, 11/12/2019, <https://legalinstruments.oecd.org/en/instruments/OECD-LEGAL-0457>.

[221] The Human Rights Council Advisory Committee of the United Nations (UN), The Report on Impact, Opportunities and Challenges of Neurotechnology with Regard to the Promotion and Protection of All Human Rights, §§ 63-64, 08/08/2024, <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g24/133/28/pdf/g2413328.pdf>.

[222] Impact Research, Prepared for the Information Commissioner's Office, Citizen Jury on Consumer Internet of Things, 7, 2024, <https://ico.org.uk/media/about-the-ico/documents/4029712/iot-citizen-jury-report.pdf>.

[223] მუხლი 2, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 22/10/2009.

ოჯახური საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

დამუშავების ფორმა, რომელიც არ ხორციელდება სამეწარმეო ან/და ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, არ არის დაკავშირებული პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება შეიძლება მოიცავდეს მიმოწერას, მისამართების დამუშავებას, ინტერნეტაქტივობას (მათ შორის, სოციალურ ქსელში), რომელიც ამ საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება. ფიზიკური პირის მიერ ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება.[224]

[224] მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება (თეორია და საერთაშორისო პრაქტიკა), 2024.

პერსონალური მონაცემი

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.[225]

პერსონალურ მონაცემთა განადგურების უფლება

მონაცემთა სუბიექტის უფლება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ დამუშავებული პერსონალური მონაცემების განადგურება. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, მონაცემები უნდა განადგურდეს ან მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.[226]

პერსონალურ მონაცემთა გასწორების და განახლების უფლება

მონაცემთა სუბიექტის უფლება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მონაცემები უნდა გასწორდეს, განახლდეს ან/და შეივსოს ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.[227]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

კანონის საფუძველზე შექმნილი და მოქმედი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა სათანადო სამართლებრივი აქტებით.[228] საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი სათავეს 2013 წლიდან იღებს. ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობა კი 2015 წლიდან ხორციელდება. აღნიშნულ უფლებამოსილებებს 2013-2019 წლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, ხოლო 2019 წლიდან 2022 წლამდე მისი უფლებამონაცვლე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებდა. 2022 წლის პირველი მარტიდან აღნიშნული მანდატი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მიენიჭა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის პრინციპები

პრინციპები, რომელთაც ეყრდნობა სამსახური უფლებამოსილების განხორციელებისას:

- კანონიერება;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა;
- დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;
- ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- პროფესიონალიზმი;
- საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვა.[229]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა, მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება), საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება და მისი ინფორმირებულობის გაზრდა.[230]

[225] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[226] მუხლი 16, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[227] მუხლი 15, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[228] მუხლი 39, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდი, <www.pdps.ge>.
[229] მუხლი 39, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[230] მუხლი 49, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

პერსონალურ მონაცემთა დაბლოკვის უფლება

მონაცემთა სუბიექტის უფლება მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებით შეჩერება, თუ: სადავოა მონაცემების ნამდვილობა ან სიზუსტე; მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას; მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად; მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა და არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.[231]

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების შემდეგ პრინციპებს:

- მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად. მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობის ვალდებულება არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებზე;
- მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
- მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;
- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;
- მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;
- მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.[232]

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

მონაცემთა დამუშავება, გარდა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემისა, დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;

[231] მუხლი 17, პუნქტი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[232] მუხლი 4, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.

- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).[233]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრული/დანიშნული პირი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს. საჯარო დაწესებულება, სადაზღვევო ორგანიზაცია, კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო ბიურო, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია, ავიაკომპანია, აეროპორტი, სამედიცინო დაწესებულება, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს, ვალდებულნი არიან დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებას დაწესებულებაში. სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს საკუთარი შეხედულებისამებრ უფლება აქვთ, დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა მონაცემთა დაცვის სფეროში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით ანგარიშვალდებული უნდა იყოს მაქსიმალურად მაღალი დონის მმართველობის სტრუქტურის წინაშე.[234] დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთა წრე, რომლებსაც არ აქვთ ვალდებულება, დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, განისაზღვრება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით.[235]

პირადი მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

დამუშავების ფორმა, რომელიც არ არის დაკავშირებული სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე. პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის, მიმოწერას, მისამართების დამუშავებას, ინტერნეტაქტივობას (მათ შორის, სოციალურ ქსელში), რომელიც ამ საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება.[236]

პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება

პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის ხელშეუხებლობა. გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის“ მე-17(1) მუხლის თანახმად, „არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას“. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.“ ამასთანავე, „დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.

პირადი ნომერი

უნიკალური საიდენტიფიკაციო მონაცემი.[237] მითითებულია ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა პირადობის მოწმობა, პასპორტი, მართვის მოწმობა და ა.შ. იმის გამო, რომ ორი იდენტური პირადი ნომერი არ არსებობს, იგი პირის იდენტიფიცირების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მონაცემია და მისი გამოყენებით მონაცემთა ბაზებში ბევრი სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი.

[233] მუხლი 5, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[234] მუხლი 33, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ, 2024.
[235] მუხლი 33, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[236] მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[237] მუხლი 27, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, 20/12/2011.

პირდაპირი მარკეტინგი

ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან/და მხარდაჭერის მიზნით. პირდაპირ მარკეტინგად არ ჩაითვლება სახელმწიფო დაწესებულების მიერ ფიზიკური პირისთვის ინფორმაციის მიწოდება, თუ ამ ინფორმაციის მიწოდება თავსებადია კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების რომელიმე საფუძველთან.[238]

პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება

ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, აგრეთვე, საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან/და მხარდაჭერის მიზნით, პერსონალური მონაცემების დამუშავება. მიუხედავად მონაცემთა შეგროვების/მოპოვების საფუძვლისა და მათი ხელმისაწვდომობისა, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება შეიძლება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით.[239]

პოლიტიკური შეხედულება

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი.[240]

პროფაილინგი

მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას.[241]

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მიხედვით, პროფაილინგი ნიშნავს პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ავტომატური ფორმით დამუშავებას, რომელიც მოიცავს პერსონალური მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ჯანმრთელობას, პირად უპირატესობებს, ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილმდებარეობას ან გადაადგილებას.[242]
პროფაილინგის მიზანია პირის ფინანსური მდგომარეობის, ინტერესების, ქცევის და სხვა მახასიათებლების ანალიზი ან წინასწარ განსაზღვრა. მაგალითად, პირის მონაცემების დამუშავება საკრედიტო სარეიტინგო ქულის ავტომატიზებულად გამოსათვლელად. თუ გადაწყვეტილება პირისთვის სამართლებრივი ან სხვა მნიშვნელოვანი შედეგის მომტანია, მას აქვს უფლება, მის შესახებ გადაწყვეტილება არ იქნეს მიღებული მხოლოდ ავტომატიზებული საშუალებებით, ადამიანური რესურსის ჩარევის გარეშე.
პროფაილინგი დასაშვებია, თუ აუცილებელია ხელშეკრულების დასადებად ან მის შესასრულებლად, ნებადართულია ევროკავშირის ან მისი წევრი ქვეყნის კანონმდებლობით ან პირის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის საფუძველზე.[243]

პროფესიული კავშირის წევრობა

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის პროფესიულ კავშირში მონაწილეობას.[244]

პროფესიული საიდუმლოება

აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალურობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ არის პროფესიული საიდუმლოება.[245]

---

[238] მუხლი 12, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[239] მუხლი 12, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[240] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[241] მუხლი 19, პუნქტი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[245] მუხლი 22, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).

ჟ

ჟესტიკულაცია

არავერბალური კომუნიკაციის გამომხატველი ფორმა, რომელიც თითოეული ადამიანის მახასიათებელი ნიშანია. ჟესტიკულაციით შესაძლებელია ადამიანის ამოცნობა, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენა და ქცევითი მახასიათებლების განსაზღვრა.[246]

[246] ელექტრონული ქართული ლექსიკონი, <https://www.ganmarteba.ge/>.

რასობრივი კუთვნილება

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, რომელიც უკავშირდება ადამიანის კუთვნილებას გარკვეულ რასობრივ ჯგუფთან.[247]

„რბილი სამართალი"

არასავალდებულო აქტების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს შესასრულებლად არა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს, არამედ თანამშრომლობის საერთო მიმართულებას და საჭიროებს დაკონკრეტებას ან განსაკუთრებულ იმპლემენტაციას.[248]

რეესტრი

მონაცემთა ბაზა, სადაც ფიქსირდება პირის პერსონალური ინფორმაცია.[249]

რეკომენდაცია

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისთვის წერილობითი ფორმით მიცემული რჩევა მონაცემთა დამუშავების პროცესში დარღვევების რისკების შემცირების მიზნით.[250]

რელიგიური მრწამსი

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, რომელიც უკავშირდება ადამიანის კუთვნილებას კონკრეტულ რელიგიასთან, სარწმუნოებასთან ან სულიერ ტრადიციასთან.[251]

[247] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[248] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლექსიკონი, <https://www.nplg.gov.ge>.
[249] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლექსიკონი, <https://www.nplg.gov.ge>.
[250] მუხლი 52, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „ე", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[251] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.

საავტორო და მომიჯნავე უფლებები

უფლებები, რომელიც წარმოეშვება ავტორს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთან დაკავშირებით. ავტორს აქვს პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. აგრეთვე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.[252]

მომიჯნავე უფლებების მფლობელები არიან შემსრულებლები, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის (საეთერო და საკაბელო) ორგანიზაციები. მომიჯნავე უფლებების დაცვის ობიექტებია შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა და საეთერო და საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაციების გადაცემები.[253]

სააპელაციო სასამართლო

სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, საქმის განმხილველი ორგანო. სააპელაციო სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლო კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე შეიძლება დაწესდეს სააპელაციო საჩივრების ერთპიროვნული განხილვა.[254]

საერთო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

ორი ან რამდენიმე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ დანიშნული/განსაზღვრული საერთო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი საჯარო დაწესებულებაა, აგრეთვე დასაშვებია რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულებისთვის საერთო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა ან განსაზღვრა ამ დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და ზომის გათვალისწინებით.[255]

საერთაშორისო სამართალი

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობათა სფეროში მოქმედი ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოთა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა მიერ იურიდიულად სავალდებულო ნორმებად და გამოხატავს სუბიექტთა საერთო ინტერესებს, რომლებიც თავს იჩენენ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა თუ ჩვეულებებში და რომელთა შესრულებას უზრუნველყოფენ სუბიექტები ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. იგი მიიღება სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთშეთანხმებების საფუძველზე.[256]

საერთაშორისო ურთიერთობები

პოლიტიკური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის საგარეო პოლიტიკასა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს საერთაშორისო სისტემაში.[257]

საერთაშორისო ორგანიზაცია

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ თანახმად, მოქმედი ორგანიზაცია და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებები, რომელთა საქმიანობა რეგულირდება საერთაშორისო საჯარო სამართლით, მათ შორის ნებისმიერი სხვა უწყება, რომელიც ორ ან მეტ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებით ან ხელშეკრულების საფუძველზე არის შექმნილი.[258]

---

[252] საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, 22/06/1999.
[253] ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/>.
[254] მუხლი 24, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 04/12/2009.
[255] მუხლი 33, პუნქტი 4, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[256] ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2015, 8-9.
[257] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საძიებელი, <http://www.nplg.gov.ge>.
[258] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).

საერთაშორისო ხელშეკრულება

სახელმწიფოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ხელშემკვრელი მხარეები იღებენ გარკვეულ ვალდებულებებს ერთმანეთის წინაშე. ხელშეკრულებების დადების, გაუქმების, მოქმედების საკითხები საერთაშორისო სამართლით რეგულირდება.[259]

სავალდებულო კორპორაციული წესები

პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, რომლითაც ხელმძღვანელობს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ერთ ან მეტ მესამე ქვეყანაში არსებული მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პერსონალური მონაცემების ერთჯერადი ან მრავალჯერადი გადაცემისას ორგანიზაციათა ჯგუფის ან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ საწარმოთა ჯგუფის ფარგლებში.[260]

საზედამხედველო ორგანო (პერსონალურ მონაცემთა დაცვის)

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე საზედამხედველო უფლებამოსილების განმახორციელებელი, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი ორგანო.[261]

სათანადო გარანტიების დადგენა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შეფასება სხვა სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, რომელიც ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის, მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიების (მათ შორის, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების), მონაცემთა შემდგომი საერთაშორისო გადაცემის წესების, მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს არსებობის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის ანალიზის საფუძველზე.[262]

სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებშიც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები, განისაზღვრება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით.[263] თუ სახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია აღარ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ პირობებს, ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ნუსხაში შედის შესაბამისი ცვლილებები, რომლებსაც უკუქცევითი ძალა არ აქვს.[264]

საკონსტიტუციო სასამართლო

საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წლის ვადით განწესებული 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 მოსამართლეს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია.[265]

სამართლიანობის პრინციპი

მონაცემთა დამუშავების პრინციპი, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემები არ უნდა დამუშავდეს მონაცემთა სუბიექტის საზიანოდ, დისკრიმინაციულად, არ უნდა აღმოჩნდეს სუბიექტისთვის მოულოდნელი ან შეცდომაში შემყვანი. დაუშვებელია მონაცემთა მოპოვება ან სხვაგვარად დამუშავება უსამართლო საშუალებებით, შეცდომაში შეყვანით ან მონაცემთა სუბიექტის ცოდნის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა სუბიექტი იყოს ინფორმირებული მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, როგორ მოხდება მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება. თუმცა რიგ შემთხვევებში, დამუშავება ნებადართულია და სამართლიანად მიიჩნევა, მიუხედავად მონაცემთა სუბიექტის ცოდნისა და ნებისა.[266]

---

[259] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საძიებელი, <http://www.nplg.gov.ge>.
[260] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).
[261] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 214.
[262] მუხლი 38, პუნქტი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[263] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №23 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“, 29/02/2024.
[264] მუხლი 38, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[265] მუხლი 60, საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995.
[266] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 5-6.

სამართლებრივი აქტი

უფლებამოსილი სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი.[267] სამართლებრივი აქტის სახეებია ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

ყოველი ადამიანის უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.[268]

სამართალდამრღვევი

პირი, რომლის მიმართ გამოვლინდა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაეკისრა შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შემოწმების (ინსპექტირების) ან/და მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვის საფუძველზე.[269]

სამართალდამცავი ორგანო

სახელმწიფო ორგანო, რომლის ფუნქციაა დანაშაულების პრევენცია, გამოძიება, დადგენა ან სისხლისსამართლებრივი დევნა, საპოლიციო საქმიანობა, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა. საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს მიეკუთვნება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ორგანოები და საგამოძიებო დანაყოფები, საქართველოს პროკურატურის შესაბამისი ორგანოები, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოპერატიული ორგანოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოპერატიული ორგანოები და საგამოძიებო დანაყოფები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოპერატიული დანაყოფები და საგამოძიებო ორგანო და ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული, საგამოძიებო და სადაზვერვო ქვედანაყოფები, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილი საგამოძიებო და ოპერატიული დანაყოფები, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლები და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი თანამშრომლები.

სამოქალაქო სახელი

პერსონალური მონაცემი, რომელიც მოიცავს ფიზიკური პირის სახელსა და გვარს.[270]

სამსახურის თანამშრომელი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში დასაქმებული საჯარო მოხელე, გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსისა, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილისა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება იმავე კანონით დადგენილი წესით, თუ ამ კანონით ან ამ კანონის საფუძველზე გამოცემული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.[271]

სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი

ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, სამუშაო პროცესის/სივრცის ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა), რომელიც დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, კერძოდ, თუ კანონით განსაზღვრული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან.[272]

საპატიო მიზეზი

ობიექტური გარემოება (მხარის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა ან გარდაცვალება და სხვა განსაკუთრებული გარემოებები), რომელიც მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის მხარის მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით. საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს საპატიო მიზეზის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.[273]

---

[267] მუხლი 2, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 22/10/2009.`
[268] მუხლი 3, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 04/12/2009.
[269] მუხლი 58, პუნქტი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[270] მუხლი 17, ნაწილი პირველი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.
[271] მუხლი 46, პუნქტი 2, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[272] მუხლი 10, პუნქტი 3, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[273] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.

სასამართლო

სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, რომლის მიზანს მართლმსაჯულების განხორციელება წარმოადგენს და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები.[274]

სასამართლოში სამართალწარმოების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის წესის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება, რომელზეც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება.[275]

სახელი

პერსონალური მონაცემი, რომელიც ენიჭება ფიზიკურ პირს. დაბადების რეგისტრაციისას ბავშვის სახელის, გვარისა და დაბადების ადგილის განსაზღვრის წესი დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. თუ დაბადების რეგისტრაციისას უფლებამოსილი პირი არ განაცხადებს ბავშვისთვის სახელის მინიჭების თაობაზე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ბავშვის სქესის გათვალისწინებით ანიჭებს მას სახელს სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული, შესაბამისი სქესისათვის დამახასიათებელი სახელებიდან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.[276]

სახელოვნებო მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

სახელოვნებო საქმიანობის ან მიზნის ფარგლებში მონაცემთა დამუშავების პროცესი, რომელზეც არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება.[277]

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი

საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები.[278]

სახელმწიფო სანომრე ნიშანი

ავტომობილის რეგისტრაციის ნომერი.

სახის გამოსახულება, როგორც ბიომეტრიული მონაცემი

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომელიც არის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული, უკავშირდება მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელს, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.

სახის გამოსახულების ბიომეტრიული ამოცნობა

ფიზიკური პირის სახის შემცველი ციფრული გამოსახულების ავტომატური დამუშავება, რომლის მიზანია სახის არსებული ე. წ. „შაბლონების" მეშვეობით პირის იდენტიფიცირება ან ვერიფიკაცია.[279]

საჯარო დაწესებულება

ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა), რომელიც შეიძლება იყოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი.[280]

საჯარო ინფორმაცია

ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაცია, რომლის გაცნობის უფლება აქვს განმცხადებელს, აგრეთვე, შეუძლია, მიიღოს მისი ასლი, თუ ეს ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისა და გამოქვეყნების საკითხები წყდება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.[281]

---

[274] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 04/12/2009.
[275] მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „დ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[276] მუხლი 25, „სამოქალაქო აქტების შესახებ", საქართველოს კანონი, 20/12/2011.
[277] მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ვ", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[278] მუხლი 3, ქვეპუნქტი „თ", „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, 27/10/2015.
[279] Consultative Committee of Convention 108 (The Convention for the Protection of Individuals with Regard to Automatic Processing of Personal Data), Guidelines On Facial Recognition, 5, 2021, <https://rm.coe.int/guidelines-facial-recognition-web-a5-2750-3427-6868-1/1680a31751>.
[280] მუხლი 27, ქვეპუნქტი „ა", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999.
[281] მუხლი 28, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/1999.

საჯარო მოსამსახურე

პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.[282]

საჯარო მოხელე

პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.[283]

სინთეზური მონაცემი

ხელოვნური მონაცემი, რომელიც თავდაპირველი მოდელისგან/მონაცემებისგანაა შექმნილი და მათი მახასიათებლებისა თუ სტრუქტურის რეპროდუცირებას ახდენს. შესაბამისად, ერთი და იმავე სტატისტიკური ანალიზის გავლის შემთხვევაში სინთეტიკური და თავდაპირველი მონაცემების შემოწმებით მიღებული შედეგები თანხვედრაში უნდა იყოს.[284]

სოციალური მახასიათებელი

პერსონალური მონაცემი ფიზიკური პირის სოციალური იდენტობის, გარემოსა და ურთიერთობების შესახებ.[285]

სპეციალური წარმომადგენელი

საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე წარმომადგენლად განსაზღვრული/დანიშნული ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, აგრეთვე იურიდიული სტატუსის არმქონე პირთა გაერთიანება.[286]

სპეციალური ანგარიში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ საკუთარი ინიციატივით გამოქვეყნებული სპეციალური ანგარიში იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც სამსახურის საქმიანობას უკავშირდება და მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული.[287]

სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიება

საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ სადაზვერვო საქმიანობისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც არ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული სატელეკომუნიკაციო ნაკადის მონიტორინგი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.[288]

სქესობრივი ცხოვრება

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი ფიზიკური პირის სქესობრივი ცხოვრების შესახებ.[289]

---

[282] მუხლი 3, ქვეპუნქტი „დ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 27/10/2015.
[283] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 27/10/2015.
[284] European Data Protection Supervisor, <https://www.edps.europa.eu/press-publications/publications/techsonar/synthetic-data_en>, [13.12.2024].
[285] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[286] მუხლი 3, ქვეპუნქტი „უ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[287] მუხლი 48, პუნქტი 5, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[288] მუხლი 2, ქვეპუნქტი „ა“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი, 22/03/2017.
[289] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ტელეფონის ნომერი

პერსონალური მონაცემი, ციფრთა კომბინაცია, რომელიც მფლობელთან ზარით, მოკლეტექსტური შეტყობინებით და ინტერნეტით დაკავშირების საშუალებას იძლევა, ასევე გამოიყენება სოციალურ ქსელებსა და აპლიკაციებში რეგისტრაციისას. ინახება საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების, სხვადასხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზებში.

ტექნიკური საშუალება

ელექტრონული საკომუნიკაციო და საინფორმაციო სიგნალების ფორმირების, დამუშავების, გატარების, გადაცემის ან მიღების მიზნით გამოყენებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის აღჭურვილობა და საშუალება.[290]

ტექნოლოგია

ინსტრუმენტები, სისტემები და პროცესები, რომლებიც გამოიყენება პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს არაერთ ვალდებულებას ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, მათ შორის, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის წინასწარ შეფასებას.[291]

ტრანზიტი (მონაცემის)

მონაცემების გადაცემის პროცესი ერთი სისტემიდან, ადგილიდან ან ქსელიდან მეორეში, მონაცემთა მოძრაობა პლატფორმებს შორის. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა საქართველოში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებაზე, გარდა შემთხვევისა, როდესაც ტექნიკური საშუალებები მხოლოდ მონაცემთა ტრანზიტისთვის გამოიყენება.[292]

[290] მუხლი 2, ქვეპუნქტი „ჰ[25]“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, 02/06/2005.
[291] მუხლი 26, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[292] მუხლი 2, პუნქტი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ე

უკანონო დამუშავება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ან მონაცემთა დამუშავების მომწესრიგებელი სხვა ნორმატიული აქტის დარღვევით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან დაიცვან მონაცემთა დამუშავების პრინციპები, განსაზღვრონ დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები და შეასრულონ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებები, მათ შორის, თანამშრომელთა უფლებამოსილებების შესაბამისად, განსაზღვრონ მონაცემებზე წვდომის ფარგლები და განახორციელონ ადეკვატური ღონისძიებები თანამშრომელთა მიერ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტების თავიდან ასაცილებლად, გამოსავლენად და აღსაკვეთად, მათ შორის, უზრუნველყონ თანამშრომელთა ინფორმირება მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხების შესახებ.[293]

უნიკალური იდენტიფიკატორი

მონაცემთა სუბიექტის სახის გამოსახულება, ხმის მახასიათებელი ან დაქტილოსკოპიური მონაცემები, რომლებიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.

უფლების ბოროტად გამოყენება

უფლებით არამართლზომიერი სარგებლობა. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.[294]

[293] მუხლი 27, პუნქტი 6, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[294] მუხლი 115, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.

ფ

ფაილური სისტემა

მონაცემთა სტრუქტურიზებული წყება, რომელშიც მონაცემები დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით („მონაცემთა ბაზა“). ფაილური სისტემის კატალოგი მოიცავს ბაზის აღწერილობას და ინფორმაციას მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/უფლებამოსილი ორგანიზაციის, დამუშავების საფუძვლების, შენახვის ვადისა და უსაფრთხოების, მონაცემთა და სუბიექტთა კატეგორიების შესახებ.[295]

ფარული საგამოძიებო მოქმედება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ხორციელდება ფარულად, დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების ან პრევენციის მიზნით.

ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებია:

- სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა;
- ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;
- გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა;
- საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
- ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება;
- ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

დასაშვებია ერთდროულად რამდენიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.[296]

ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი

პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედება.[297]

ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორი

ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის სარგებლობაში არსებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი (ნებისმიერი მონაცემი, რომელიც იძლევა საკომუნიკაციო აღჭურვილობის ინდივიდუალური იდენტიფიცირების საშუალებას ან ხელს უწყობს მის ინდივიდუალურ იდენტიფიცირებას (მათ შორის, ტელეფონის ნომერი, ინტერნეტპროტოკოლის მისამართი (IP-მისამართი), მობილური აღჭურვილობის საერთაშორისო იდენტიფიკატორი (IMEI), მობილურის მომხმარებლის საერთაშორისო იდენტიფიკატორი (IMSI), MAC-მისამართი და სხვა)) ან მომხმარებლის სახელი.[298]

ფაქტობრივი გარემოება

კონკრეტული მოვლენა (ფაქტი), რომელიც გამოვლინდა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

ფიზიკური მახასიათებელი

პერსონალური მონაცემი, რომელიც აღწერს ფიზიკური პირის გარეგნულ და ბიოლოგიურ თავისებურებებს.[299]

ფიზიოლოგიური მახასიათებელი

პერსონალური მონაცემი, რომელიც ასახავს სხეულის ფიზიკურ ფუნქციონირებას, ბიოლოგიურ ფუნქციებს და პროცესების თავისებურებას.[300]

---

[295] მუხლი 3, ქვეპუნქტი „კ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[296] მუხლი 54, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[297] მუხლი 3, ნაწილი 31, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
[298] მუხლი 3, ნაწილი 37, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.
[299] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[300] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ფილოსოფიური მრწამსი

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი ფიზიკური პირის შინაგანი რწმენის, სამყაროს შეხედულების, მსოფლმხედველობის, ეთიკისა და არსებობის ფუნდამენტურ საკითხებზე.[301]

ფსიქიკური მახასიათებელი

პერსონალური მონაცემი ფიზიკური პირის გონებრივი, ემოციური და ფსიქოლოგიური თავისებურებების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მის ქცევას, აზროვნებას, ემოციას და გარესამყაროსთან ურთიერთობებს.[302]

ფსიქიკური ჯანმრთელობა

პირის კეთილდღეობა, სოციალური, სულიერი, კოგნიტური და ემოციური ასპექტების გათვალისწინებით, კერძოდ, მდგომარეობა, როდესაც იგი ავლენს და ახორციელებს საკუთარ შესაძლებლობებს, უმკლავდება ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ სტრესებს და შეუძლია ეფექტიანი, ნაყოფიერი მუშაობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანა.[303]

ფსიქოლოგიური მახასიათებელი

პერსონალური მონაცემი, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური პირის ფსიქიკის უნიკალურობას.[304]

ფსევდონიმიზაცია

მონაცემთა დამუშავება, როდესაც დამატებითი ინფორმაციის გამოყენების გარეშე შეუძლებელია მონაცემების კონკრეტულ მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირება და ეს დამატებითი ინფორმაცია შენახულია ცალკე და ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მეშვეობით მონაცემების იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან დაკავშირება არ ხდება.[305]

[301] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[302] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[303] მუხლი 4, ქვეპუნქტი „რ“, საქართველოს კანონი „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“, 14/07/2006.
[304] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[305] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ძ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ქ

ქსელური და საინფორმაციო უსაფრთხოების ევროპული სააგენტო

ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების სააგენტო, რომლის მიზანია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესება და კოორდინირებული მუშაობა, მათ შორის საერთო პოლიტიკის შემუშავება. მისი ფუნქციები დაკავშირებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების კიბერუსაფრთხოებისა და ზოგადად ევროკავშირში ინტერნეტის უსაფრთხოების ძირითადი ამოცანების, სტრატეგიების, მასთან დაკავშირებული საკითხებისა და არსებული ვითარების შესწავლაში.[306]

ქცევის კოდექსი

წესებისა და რეკომენდაციების ერთობლიობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი“, რომელიც ადგენს ქცევის ისეთ ნორმებსა და სტანდარტებს, რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმიანობის წარმართვას სამართლიანად, კანონიერად, ობიექტურად, მიუკერძოებლად, კვალიფიციურად, პროფესიონალურად, კეთილსინდისიერად, ეფექტიანად, პროდუქტიულად, კოლეგიალურად, საიდუმლოების, პერსონალური მონაცემებისა და სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაციის, დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით.[307]

ქცევის მახასიათებელი

ბიომეტრიული მონაცემის ერთ-ერთი სახე, რომელიც განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემია.[308]

ქცევის სისტემური და მასშტაბური მონიტორინგი

აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს მონაცემთა სუბიექტების ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს. ასეთია: ა) ინტერნეტ აქტივობის თვალთვალი, სადაც ხდება მონაცემთა სუბიექტის წინასწარი რეგისტრაცია (მომხმარებლის შექმნა/აქტივაცია); ბ) პროფაილინგი ან ქულების მინიჭება რისკების შეფასების მიზნით; გ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბავშვების, მოსწავლეების, მსმენელებისა და სტუდენტების ქცევის მონიტორინგი; დ) პერსონალურ მონაცემებზე დაფუძნებული ქცევითი რეკლამირება; ე) სატელეკომუნიკაციო ქსელების ოპერირება. შესაძლებელია სხვაგვარი აქტივობაც წარმოადგენდეს მონაცემთა სუბიექტების ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს ნორმატიული აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.[309]

[306] European Union Agency for Cybersecurity, <https://www.enisa.europa.eu/>.
[307] მუხლი პირველი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის №25 ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“, 29/02/2024.
[308] მუხლი 3, ქვეპუნქტი „დ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[309] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №21 „მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ვალდებულების წარმომშობი გარემოებების დადგენის კრიტერიუმებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, 28/02/2024.

ღეროვანი უჯრედი

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომელიც თავისი უნიკალურობისა და თვითაღდგენის უნარიდან გამომდინარე, გამოიყენება სამედიცინო მიზნებისთვის, თუმცა თანამედროვე მეთოდები და ხელსაწყოები ღეროვანი უჯრედით პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობასაც იძლევა. გენეტიკური მონაცემების დაცულობისთვის მნიშვნელოვანია ღეროვანი უჯრედების ფიზიკური უსაფრთხოება და მათი სათანადო წესით შენახვა.

ღონისძიებების გამოყენება (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ)

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილება, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ან მონაცემთა დამუშავების მომწესრიგებელი სხვა ნორმატიული აქტის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში გამოიყენოს შემდეგ ღონისძიებათაგან ერთ-ერთი ან ერთდროულად რამდენიმე:

- მოითხოვოს დარღვევისა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების მის მიერ მითითებული ფორმით და მითითებულ ვადაში გამოსწორება;
- მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებით ან სამუდამოდ შეწყვეტა, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის განხორციელებული ღონისძიებები და პროცედურები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, განადგურება ან დეპერსონალიზაცია, თუ მიიჩნევს, რომ მონაცემთა დამუშავება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება;
- მოითხოვოს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის შეწყვეტა, თუ მონაცემთა გადაცემა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება;
- წერილობით მისცეს რჩევები და გაუწიოს რეკომენდაცია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს მის მიერ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული წესების უმნიშვნელოდ დარღვევის შემთხვევაში;
- სამართალდამრღვევს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.[310]

[310] მუხლი 52, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ყ

ყალბი მონაცემი

არასწორი ან შეცდომაში შემყვანი მონაცემი. მონაცემთა სიზუსტის პრინციპის თანახმად, მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.[311]

[311] მუხლი 4, პუნქტი პირველი, ქვეპუნქტი „დ"; მუხლი 15, პუნქტი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების შესახებ, 2024, 23-24.

ბ

შევსების უფლება

მონაცემთა სუბიექტის უფლება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემების შევსება. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი) მონაცემები უნდა შეივსოს ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.[312]

შემეცნებითი (კოგნიტური) ბიომეტრიული მონაცემი

ნერვული მონაცემი, რომელიც ბიომეტრიული ტექნოლოგიების მეშვეობით, შესაძლოა დამუშავდეს შეგროვებულ სხვა მონაცემებთან ერთად, მენტალური მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მისაღებად.[313]

შემოწმების განხორციელება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განახორციელოს ნებისმიერი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის შემოწმება.[314]

შენიშვნა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილება, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს გამოუცხადოს შენიშვნა.[315]

შენგენის ცენტრალური საინფორმაციო სისტემა

მონაცემთა ბაზა, რომელიც ავტომატური რეესტრის საშუალებით შენგენის თითოეული ქვეყნის პოლიციასა და სასამართლო ორგანოებს აწვდის შენგენის სხვა ქვეყნების საერთაშორისო საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ მუდმივ ინფორმაციას. სისტემა შეიქმნა შენგენის ზონის შიდა საზღვრებზე სასაზღვრო კონტროლის დაკარგვის კომპენსაციისთვის, რაც მოითხოვდა განახლებულ თანამშრომლობას პოლიციისა და სასამართლო ამოცანების სფეროში.[316]

შეტყობინება

პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ სამსახურში წარმოდგენილი მომართვა, რომელიც შეიძლება იყოს ანონიმურიც.[317]

შეწყვეტა

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის მიმართ განხორციელებული ერთ-ერთი მოქმედება. მონაცემთა სუბიექტის უფლება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა. მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) უნდა შეწყდეს მონაცემთა დამუშავება ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.[318]

შვილება

კანონით დადგენილი წესით მშვილებელსა და შვილად აყვანილ ბავშვს (ნაშვილებს) შორის წარმოშობილი ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის. [319] შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა.[320]

---

[312] მუხლი 15, პუნქტები 2-3, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[313] The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO), First Draft of the Recommendation on the Ethics of Neurotechnology, §16, <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000391444.locale=en>.
[314] მუხლი 51, პუნქტი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[315] მუხლი 60, პუნქტი 2, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[316] Schengen Information System, <https://commission.europa.eu/index_en>.
[317] მუხლი 2, პუნქტი პირველი, „დ“ ქვეპუნქტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 1 მარტის ბრძანება №34.
[318] მუხლი 16, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[319] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ბ“, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი, 04/05/2017.
[320] მუხლი 175, სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999.

ჩ

ჩვენება

სასამართლოში მოწმის, ბრალდებულის, დაზარალებულის მიერ მიცემული ინფორმაცია საქმის გარემოებების შესახებ. აისახება არა მხოლოდ სასამართლო სხდომის ოქმში, არამედ სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეოჩანაწერებში. შესაძლებელია ჩვენების მიცემის პროცესის ტრანსლირება პირდაპირი ეთერითაც მიმდინარეობდეს. ჩვენების მიმცემი პირის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლოს შეუძლია აკრძალოს მისი გადაღება, მისი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან სხვა პერსონალური მონაცემების გამხელა.[321]

[321] მუხლები 74-76, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009.

ვ

ც

ციფრული გარემო

ტექნოლოგიების, ქსელების, ციფრული პლატფორმების ერთობლიობა მონაცემის შექმნის, შენახვის, გაზიარებისა და გამოყენებისთვის. ციფრული გარემო, ასევე, განიმარტება, როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მაგალითად, ინტერნეტი, მობილური და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები და მოწყობილობები, ასევე, ციფრული ქსელები, მონაცემთა ბაზები, შინაარსი და სერვისები.[322]

ციფრული კვალი

ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც პირი ინტერნეტით, სხვადასხვა აპლიკაციებით, ვებგვერდებით სარგებლობისას ტოვებს ციფრულ სივრცეში.[323]

ცნობა

მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

[322] ციფრულ გარემოში ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის გზამკვლევი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, <https://pdps.ge/ka/content/984/rekomendaciebi>.

[323] Data Protection Commissioner of Ireland, Managing Your Digital Footprint, <https://www.dataprotection.ie/en/dpc-guidance/blogs/managing-your-digital-footprint>.

ძალაში შესვლა

ნორმატიული აქტის ამოქმედება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი მიღებულ იქნა 2023 წლის 14 ივნისს და მოქმედებს 2024 წლის პირველი მარტიდან, ხოლო დებულებები მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების და მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ - 2024 წლის პირველი ივნისიდან.[324]

ძალადობის მსხვერპლის სტატუსი

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომელიც ენიჭება ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობის ან იძულების მსხვერპლ ოჯახის წევრს. ამგვარი სტატუსის განსაზღვრა შეუძლია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლოს ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს. ძალადობის მსხვერპლის ვინაობა, ადგილსამყოფელი, ინფორმაცია მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება მხოლოდ კანონით დადგენილი წესითაა შესაძლებელი.[325]

ძირითადი დაწესებულება

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ძირითად დაწესებულებად მოიაზრება მისი ცენტრალური ადმინისტრაცია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები და საშუალებები განისაზღვრება წევრ ქვეყნებში არსებულ სხვა დაწესებულებაში და ამ უკანასკნელს აქვს უფლებამოსილება, რომ აღასრულოს გადაწყვეტილებები. ასეთ შემთხვევაში, დაწესებულება, რომელიც ამგვარ გადაწყვეტილებებს იღებს, ითვლება ძირითად დაწესებულებად.

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ძირითად დაწესებულებად მოიაზრება მისი ცენტრალური ადმინისტრაცია. თუ უფლებამოსილ პირს არ აქვს ცენტრალური ადმინისტრაცია წევრ ქვეყნებში, ასეთად მიიჩნევა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის დაწესებულება, სადაც მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მისი საქმიანობის ფარგლებში, რომელზეც ვრცელდება ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.[326]

[324] მუხლი 90, პუნქტები 2-3, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[325] მუხლი 4, ქვეპუნქტი „ვ“, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 25/05/2006.
[326] პუნქტი 36, პრეამბულა, Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of such Data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).

წარმოება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებული საქმის წარმოება.[327] პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შემოწმების (ინსპექტირების) ან/და მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვის (საქმის წარმოების) საფუძველზე.[328]

წაშლის უფლება

მონაცემთა სუბიექტის უფლება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა წაშლა. მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, მონაცემები უნდა წაიშალოს ან განადგურდეს ან მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს, უარი თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ: არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი; მონაცემები მუშავდება სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთების მიზნით; მონაცემთა დამუშავება აუცილებელია გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების უფლების განსახორციელებლად; მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.[329]

წერილობითი თანხმობა

თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამოხატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ.[330]

[327] მუხლი 3, ქვეპუნქტი პირველი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, 01/03/2024.
[328] მუხლი 58, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[329] მუხლი 16, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[330] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ნ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ჭკვიანი მოწყობილობა

პროგრამული მოწყობილობა, რომელიც კონკრეტული დავალების შესასრულებლად დამოუკიდებლად, დამატებითი ჩარევის გარეშე ფუნქციონირებს.[331]

[331] ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონი, <https://techdict.ge/ka/word/application/>.

ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

მონაცემთა სუბიექტის უფლება, მის შესახებ პერსონალურ მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით დამუშავების შემთხვევაში, დამატებით დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან/და მონაცემთა ასლების ან მონაცემებთან დამაკავშირებელი ნებისმიერი ინტერნეტბმულის წაშლა.[332]

ხელოვნური ინტელექტი

კომპიუტერული მეცნიერების განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული კომპიუტერულ ტექნოლოგიათა ერთობლიობა, რომელიც აერთიანებს ავტომატური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს და ასრულებს ფიზიკური პირებისათვის დამახასიათებელ ინტელექტუალურ მოქმედებებსა და ამოცანებს. 2024 წლის პირველი აგვისტოდან ძალაში შევიდა ევროკავშირის „ხელოვნური ინტელექტის შესახებ“ აქტი, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის ტერიტორიაზე ყოველგვარი ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესებს.[333] აქტის თანახმად, გამოსაყენებელი ტექნოლოგია უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მეორე მუხლს, რაც გულისხმობს ადამიანის უფლებების პატივისცემას. „ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტი“ სავალდებულო ძალის მქონე რეგულაციაა, რომლის მიზანია სამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში მოაქციოს ხელოვნური ინტელექტის სისტემების შექმნის, განვითარებისა და გამოყენების პროცესი. 2024 წლის 5 სექტემბერს, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ის, ისრაელის, ანდორის, ისლანდიის, ნორვეგიის, მოლდოვის, სან-მარინოს და საქართველოს სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ევროპის საბჭოს ჩარჩო-კონვენციას „ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შესახებ“. ჩარჩო-კონვენცია პირველი საერთაშორისო სავალდებულო დოკუმენტია, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენებისას ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებს.[334]

ხელშეკრულება (მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს შორის)

დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული წერილობითი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი მონაცემებს ამუშავებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან მისი სახელით და რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს და მიზნებს, დასამუშავებელ მონაცემთა კატეგორიებს, მონაცემთა დამუშავების ვადას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლებებს და ვალდებულებებს. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების არსებითი და სტანდარტული პირობები უზრუნველყოფს მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების თანაბარ განაწილებას და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვას.[335]

ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ

ევროკავშირის სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო. ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ და ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ რატიფიცირებულია ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ და ქმნის ევროკავშირის პირველად კანონმდებლობას.[336]

ხმის მახასიათებელი

ბიომეტრიული მონაცემის ერთ-ერთი სახე, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი,[337] რომელიც ასახავს ფიზიკური პირის ხმის ინდივიდუალურ თვისებებს.

ხმოვანი სიგნალი

მონაცემი, რომელიც აუდიომონიტორინგის საშუალებით საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეიძლება დამუშავდეს.[338]

---

[332] მუხლი 16, პუნქტი 6, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[333] Regulation (EU) 2024/1689 of The European Parliament and of The Council (Artificial Intelligence Act), 13.06.2024.
[334] Council of Europe Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law, CETS No. 225, Vilnius, 05/09/2024.
[335] მუხლი 36, პუნქტი პირველი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეკომენდაციები დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების არსებითი და სტანდარტული პირობების შესახებ, 2024, 3-21.
[336] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 32.
[337] მუხლი 3, ქვეპუნქტი „დ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[338] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ყ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი

მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას იძლევა.[339]

ჯანმრთელობის დაცვის სისტემა

სახელმწიფო ვალდებულებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად, კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით.[340]

[339] მუხლი 3, ქვეპუნქტი „გ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 14/06/2023.
[340] მუხლი 3, ქვეპუნქტი „ფ1“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 10/12/1997.

ბ

ჰონორარი

ავტორის ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელის უფლება მიიღოს ფულადი გასამრჯელო მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის. საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენებისთვის დგინდება, ერთი მხრივ, ავტორს, საავტორო უფლების სხვა მფლობელს ან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასა და, მეორე მხრივ, მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით.[341]

[341] მუხლი 18, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, 22/06/1999.

29-ე მუხლის სამუშაო ჯგუფი

დამოუკიდებელი ევროპული საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შეიქმნა 95/46/EC დირექტივის 29-ე მუხლის საფუძველზე და 2018 წლის 25 მაისამდე ფუნქციონირებდა მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებზე.

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2025

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის №7, 0105
ბათუმი, ბაქოს ქუჩა, №48, 6010
www.personaldata.ge
ტელ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge